

თქვენი აფხაზეთი A5



მეშჩანური ხიბლი თუ მიზანი?! A7



საერთაშორისო შეხვედრები A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 22 ივლისი, 2005 წელი. №165 (1025)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### "ბუნების სიყვარული არავისგან გვესწავლება"

ყაზბეგის რაიონში, თრუსოს ხეობაში კომპანია "კასარა"-ს მიერ ნახშირორჟანგის ქარხნის მშენებლობა იგეგმება, რის წინააღმდეგაც გარემოს დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი გამოვიდა. საკუთარ მოსაზრებას პროექტთან დაკავშირებით მცხეთა-მთიანეთში პრეზიდენტის რწმუნებული ვასილ მაღლაფერიძე გამოთქვამს. იგი საკუთარ თავს ამ საქმის ლობისტს უწოდებს და საკითხისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომაზე საუბრობს.

A2

## ამბები

### კენჭისყრა ჩვეული სცენარით

გუშინ ვიცე-პრემიერობის კანდიდატი გიორგი მელაძე საკრებულოს ფრაქციების წარმომადგენლებს გაეცნო. დღევანდელ სხდომაზე კი დამტკიცების პროცესი ჩვეული სცენარით განვითარდება. ანუ, "ლეიბორისტები" და "მემარჯვენეები" კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ, უმრავლესობა კი ვიცე-პრემიერის კანდიდატურას მხარს დაუჭერს.

A2

## სპორტი

### რობინიომ "სანტოსს" უჩივლა

მას შემდეგ, რაც "სანტოსის" პრეზიდენტმა მარსელო ტეშეირამ უარი თქვა რობინიოს ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკება ეწარმოებინა მადრიდის "რეალთან", ფეხბურთელის აგენტი და "რეალის" წარმომადგენლები აქტიურ და, შეიძლება ითქვას, აგრესიულ ქმედებაზე გადავიდნენ.

A6

## რევიუ

### ჯორჯო არმანის რჩეული

არმანიმ მაღალი მოდის ახალი კოლექციის Armani Privi-ს ჩვენება სულ ორი სეზონის წინ გამართა. თავისი გამუდმებული მცდელობებით და სიახლეებით მაღალ მოდაში ის ერთ მიზანს ემსახურება: ნორმალური სახე დაუბრუნოს მოდის გიჟურ სამყაროს.

A8

## ამინდი

| | 22/07 | 23 /07 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 37 |
| ტყიბული | 36 | 36 |
| სოხუმი | 35 | 35 |
| გორი | 32 | 32 |
| ონი | 29 | 29 |
| ზუგდიდი | 38 | 38 |
| ახმეტა | 36 | 36 |
| გაგრა | 32 | 33 |
| სამტრედია | 38 | 38 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8136 |
| ევრო | 2.1910 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1590 |
| რუბლი | 0.0632 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ტენდერი | A 4 |
| რეკლამა | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# "მე ვესროლე ყუმბარა ბუშს"





*ტერაქტში ეჭვმიტანილის ფოტო, გადაღებული საავადმყოფოში, და შსს-ს მიერ გავრცელებული ერთ-ერთი ფოტო.*

*მართალია, აღიარება ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ დანაშაული ჩადენილია, მაგრამ ვაშლიჯვრის დასახლებაში დაკავებული ეჭვმიტანილის მიერ შსს-ს პრეს-სამსახურისთვის მიცემულმა აღიარებითმა კომენტარმა, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ 10 მაისს თავისუფლების მოედანზე აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტის დროს აღმოჩენილი ყუმბარა 27 წლის ვლადიმერ არუთინიანმა ისროლა. "მე ვესროლე ყუმბარა ბუშს!". - განაცხადა მან.*

ინგა ალავიძე

ისტორიას მრავლად ახსოვს "ცენტრალური ტერაქტები", რომლებიც, მართალია, გახსნილა, მაგრამ სამართალდამცველების მიერ "აღებულ კვალს" აბსოლუტურად დამაჯერებელი პასუხი ვერ გაუცია მომხდარზე - ანუ, ყოველთვის რჩებოდა ეჭვი, რომ ტერაქტის უშუალო განმხორციელებლის, ფსიქიკურად არამყარი, ავადმყოფური იდეით შეპყრობილი ადამიანის უკან გარკვეული პოლიტიკური ძალა იდგა. ისტორიისთვის მსგავსი მაგალითები სიახლეს არ წარმოადგენს; სტალინი, კენედი, რეიგანი, რომის პაპი - ეს ის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები არიან, რომელთა წინააღმდეგ თავდასხმები განხორციელდა. ყველა ამ შემთხვევაში, გამოძიებამ ფანატიკური იდეით შეპყრობილი, ეულად მომუშავე ტერორისტის უკან "პოლიტიკურ კუდს" ვერ მიაგნო.

გუშინწინ ვაშლიჯვარში დაკავებული სავარაუდო ტერორისტიც - ვლადიმერ არუთინიანი, ირწმუნება, რომ იგი აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს ფანატიკურად ვერ იტანს. შსს-მ გაავრცელა ვიდეოკადრები, სადაც თავისუფლების მოედანზე მომხდარ ინციდენტში ეჭვმიტანილი ვოვა არუთინიანი დანაშაულს აღიარებს. კადრზე ნაჩვენებია დაჭრილი ეჭვმიტანილი, რომელიც განსაკუთრებულად აგრესიულად ადასტურებს, რომ მან აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მისამართით ნამდვილად ისროლა ხელყუმბარა. იგი პრეზიდენტ ბუშს უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მიიღეთ მერის არჩევის წესი, რომელიც ხალხის ნებას უკეთ ასახავს

*საქართველოში ძლიერი თვითმმართველობის დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით, თბილისში ორი დღის განმავლობაში იმართებოდა საქართველოს ადგილობრივ ხელისუფალთა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის რიგით მეექვსე შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროსაბჭოს ექსპერტები. შედეგად, მომზადდა მიმართვა საქართველოს პარლამენტისადმი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ასოციაციის დამოკიდებულება მერების და გამგებლების არჩევის წესთან დაკავშირებით.*

ნინო გომართელი

**"თუ საქართველოს პარლამენტი დაამტკიცებს მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონს დედაქალაქის მერისა და საკრებულოს არჩევის წესის თაობაზე, მაშინ იძულებული ვიქნებით, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების კუთხით საქართველოში არაფერი შეცვლილა,"** - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე

გაგრძელება A2 გვერდზე

# ტერორი გრძელდება

### მსოფლიოში უძველეს საქალაქო ტრანსპორტის სისტემას კვლავ აფეთქებენ

ნიკა თარაშვილი

*ლონდონში 7 ივლისს მომხდარი ტერაქტების სერიიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში კვლავ განგაშია. გუშინ შუადღისას ცნობილი გახდა, რომ მეტროპოლიტენის სამი სადგურიდან მგზავრთა სასწრაფო ევაკუაცია დაიწყო. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია ერთ-ერთ სამგზავრო ავტობუსში ინციდენტის შესახებაც. წინასწარი ცნობებით, გუშინდელ აფეთქებებს მსხვერპლი არ მოჰყოლია. აშკარაა, ტერორისტები ლონდონელთა დაშინებას ცდილობენ.*

გაგრძელება A4 გვერდზე



*ლონდონში კვლავ განგაშია.*

# ინფორმაციის საჯაროობა საქართველოში კვლავ პრობლემად რჩება

ვერიკო თევზაძე

**"ამჟამად მოქალაქეთა უფლება, მიიღონ სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული საჯარო ინფორმაცია, დაცული არ არის. სახელმწიფო უწყებებს არ მიაჩნიათ, რომ ეს უფლება ყველა მოქალაქისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს. ძალიან ხშირად ირღვევა კანონი იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებებში დაყენებულია საფოსტო ყუთები. ადამიანებმა ამ ყუთებში უნდა ჩაყარონ წერილები, რომელიც, ღმერთმა უწყის, მოხვდება თუ არა ადრესატამდე,"** - განუცხადა "24 საათს" ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ ანა დოლიძემ. გუშინ ამ არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებულ პრობლემებს სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია პერიოდულად ახორციელებს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული სასამართლო საქმეების ანალიზს. ანა დოლიძის განმარტებით, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის სახელმწიფო დაწესებულებებში ინფორმაციის თავისუფლება და საჯაროობა არც ისე მნიშვნელოვანია: **"2000 წლიდან არსებობს ვალდებულება, რომ სახელმწიფო დაწესებულებებმა ყოველი წლის 10 დეკემბერს, ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით, ანგარიშები მიაწოდონ საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს. ყველა დაწესებულება ამ მოთხოვნას არ ასრულებს. ზოგიერთი დაწესებულება პრეზიდენტს ცრუ ინფორმაციას აწვდის. მაგალითად, კულტურის სამინისტრომ, საქართველოს ტელევიზიამ, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა არარეალური მონაცემები უჩვენეს საქართველოს პრეზიდენტს. პრობლემა მარტო ამით არ ამოიწურება. რაც ყველაზე სამწუხაროა, ამას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია არც პრეზიდენტის და არც პარლამენტის მხრიდან,"** - დასძინა ანა დოლიძემ ჩვენთან საუბრისას.

როგორც ახალგაზრდა იურისტები აცხადებენ, ინფორმაციის საჯაროობის პრობლემა მარტო კანონის იგნორირებას როდი უკავშირდება. ცალკე პრობლემაა საკანონმდებლო ლაფსუსები. **"2004 წლის იანვრიდან 2005 წლის აპრილამდე საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვამ აჩვენა, რომ სასამართლოში ინფორმაციის თავისუფლების უფლების დარღვევის გამო მიმართვა არაეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს,"** - ვკითხულობთ ასოციაციის მიერ პრესისთვის გავრცელებულ რელიზში.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დღე მეთერთმეტე

### ერთიანი ეროვნული გამოცდების დღიური

გუშინ დასრულდა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ბოლო გამოცდა აბიტურიენტებმა მათემატიკაში ჩააბარეს. გამოცდის ხანგრძლივობა 3 საათი იყო. 12 353 რეგისტრირებული აბიტურიენტიდან გამოცდაზე არ გამოცხადდა 537. დაგვიანების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

აბიტურიენტები გამოცდიდან საკუთარი ცოდნისა და არჩეული ფაკულტეტის მოთხოვნილების შესაბამისად, კმაყოფილები გამოდიოდნენ, დროის სიმცირეზე, არაკორექტულ დამოკიდებულებაზე, ან "უცხო" დავალებაზე არ დაუწუწუნიათ.

პირველადი ინფორმაციით, 31 174 რეგისტრირებული აბიტურიენტიდან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არ გამოცხადდა 1112. ადგილი ჰქონდა დაგვიანების 74 შემთხვევას. არ მომხდარა კანონდარღვევითი ქმედება. გამოცდიდან გამოცდამდე საზოგადოებაში რეფორმისადმი ნდობა იზრდებოდა.

აბიტურიენტთა საპრეტენზიო განცხადებების განხილვის მიზნით შექმნილ საპრეტენზიო საბჭოში შესულია პროცედურასთან დაკავშირებული 34 სააპელაციო განცხადება. საბჭო 6 დღეში განცხადებების განხილვის საბოლოო ანგარიშს გააკეთებს.

გუშინ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განთავსებულ საგამოცდო ცენტრში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ შემაჯამებელი ბრიფინგი გამართა. მან აღნიშნა, რომ რეფორმის პირველი ეტაპი წარმატებით დამთავრდა, მადლობა გადაუხადა გამოცდებისა და შეფასების ცენტრის, განათლების სამინისტროს ყველა თანამშრომელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გუბერნატორებს, ქართველ აბიტურიენტებს და საქართველოს საზოგადოებას.

**24 საათი**

# პრეტენზია პრეტენზიისთვის

*აფხაზეთში ცოტას თუ სჯერა, რომ ომის დროს საქართველოს მიერ მიყენებული ზარალის კომპენსაციის პერსპექტივა არსებობს. მაგრამ ამასთან, მიაჩნიათ, რომ მოლაპარაკების პროცესში ამ საკითხის დაყენება აუცილებელია.*

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

ომის დროს საქართველოს მიერ აფხაზეთისთვის მიყენებული ზარალის კომპენსაციის საკითხი ქართულ მხარესთან მოლაპარაკებისათვის ახალი იდეების გენერატორად იქცა, რის აუცილებლობაზე აქამდეც ბევრს ლაპარაკობდნენ. საგარეო პოლიტიკურ უწყებას, ამ იდეების გენერაციის არარსებობის გამო, საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებდნენ. ასეთი მიდგომის აუცილებლობის თაობაზე საუბარი პირველად აფხაზეთის პარლამენტში დაიწყეს.

დეპუტატების აზრით, უკვე დიდი ხანია დადგა დრო, რომ აფხაზურმა მხარემ, თბილისთან მოლაპარაკებების დროს, ეს საკითხი დააყენოს. ის, რომ პრობლემის ასეთი რაკურსით წარმოჩენამ, შესაძლოა, სამშვიდობო პროცესში ახალი "მტკივნეული წერტილები" წარმოშვას, პარლამენტარებს (და ანალიტიკოსებს) ნაკლებად აღელვებთ.

**"სხვა საქმეა, თუ მოლაპარაკებების დროს ქართველები თუნდაც ერთ პრობლემას დააყენებენ, რომლის გადაწყვეტა რეალური იქნება და შეთანხმების მიღწევას შეუწყობს ხელს. ამ შემთხვევაში, ჩვენც შეგვეძლება პარალელური მიმართულებით მუშაობა. მაგრამ ყველაფერი, რაც ქართულმა მხარემ შემოგვთავაზა, მხოლოდ აფხაზეთის სახელმწიფოს ლიკვიდაციას ითვალისწინებს. ჩვენ კი დღემდე, უბრალოდ, ვდუმვართ. ახლა უკვე ვაყენებთ საკითხს, რომ საქართველომ აღიაროს თავისი დანაშაული ომის დაწყების საკითხში, რაც შემდგომი დიალოგისთვის ძალიან მნიშვნელოვანია,"** - განაცხადეს ჩვენთან საუბარში კლუბ "ახალი პოლიტიკის" (მასში შედიან ახალგაზრდა იურისტები, პოლიტოლოგები, ჟურნალისტები) წარმომადგენლებმა, რომლებიც პარლამენტის ინიციატივას მთლიანად ეთანხმებიან.

გაგრძელება A4 გვერდზე

# "ბუნების სიყვარული არავისგან გვესწავლება"

*ყაზბეგის რაიონში, თრუსოს ხეობაში კომპანია "კასარა"-ს მიერ ნახშირორჟანგის ქარხნის მშენებლობა იგეგმება, რის წინააღმდეგაც გარემოს დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი გამოვიდა. საკუთარ მოსაზრებას პროექტთან დაკავშირებით მცხეთა-მთიანეთში პრეზიდენტის რწმუნებული ვასილ მაღლაფერიძე გამოთქვამს. იგი საკუთარ თავს ამ საქმის ლობისტს უწოდებს და საკითხისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომაზე საუბრობს:*

ვასილ მაღლაფერიძე:

ქარხნის მშენებლობის შესახებ დაიდო ხელშეკრუკლება, ერთი მხრივ კომპანია "კასარას", მეორე მხრივ - ყაზბეგის რაიონის გამგეობასა და რწმუნებულის ადმინისტრაციას შორის. გარემოს დაცვის სამინისტრომ ჩვეულებრივ გამოაცხადა კონკურსი, რასაც ეს არასამთავრობო ორგანიზაციები გამოეხმაურნენ. ეს არის ძალიან პრინციპული საკითხი. რეგიონში თუ არ განვითარდა რაღაც გარკვეულ დონეზე წარმოება, ტურიზმი, ხალხი ძალიან მძიმე დღეში იქნება. და ეს ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი ბუნების და ფშავ-ხევსურეთის სიყვარულზე, რომელიც არ გვესწავლება არავისგან, დარჩება ჰაერში. რაიონი ადამიანებისგან დაიცლება.

ჩვენ მივაღწიეთ უპრეცედენტო ხელშეკრულებას - კომპანიის წმინდა მოგებიდან 25 პროცენტი ყაზბეგის განვითარების ფონდში გადაირიცხება. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია იქნება, რომელსაც თავად ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები განაგებენ.

თუ ეს არ გაკეთდა, წაიღებს მეწყერი ყველაფერს. რამდენიც უნდათ, ილაპარაკონ, თრუსოს ხეობა ლამაზია და იქ არაფრის აშენება არ შეიძლება, მაგრამ ცოტა ხანში იქ გზა აბსოლუტურად აღარ იქნება. ფული უნდა გზასაც, სამედიცინო დახმარებასაც. და თუ იქ ადგილობრივი ფული არ გაჩნდა, არაფერი გამოვა.

საერთოდ, სამოთხიდან გამოძევების შემდეგ ადამიანი დედამიწას იერს უცვლის, რომ საარსებო მოიპოვოს. რაღაც რომ წითელ წიგნშია შეტანილი, მოხევეები არ უნდა იყვნენ იქ შეტანილი? მე თუ თბილისში კარგად ვიცხოვრებ, კარგი ხელფასი მექნება, ესე იგი, ამ ადამიანებს ყინულებში ცხოვრება უნდა გამოვუწერო? თურმე, ქარხანა არ უნდა აშენდეს, ბაზალეთი არ უნდა აშენდეს, გოლფის მოედანი არ უნდა გაკეთდეს... აბა რა უნდა გაკეთდეს? სხვათა შორის, ვინც ამას იძახის, საკმაოდ კარგი ხელფასები აქვთ. იქ რომ ტურისტები დადიან, ტურისტი მე იმიტომ მინდა, რომ ამ ხალხმა იცხოვროს კარგად, მეტი არაფრისთვის.

ამ "მწვანეებს" ის არ ახსენდებათ, ვერტმფრენებით რომ მიდის ჯიხვების ჟლეტა თრუსოს ხეობაში. გამოდის, ეს ადგილი უნდა დაიცალოს და ტურისტების მოსალხენ ადგილად გადაიქცეს? მე ასე არ მაქვს ეს ქვეყანა წარმოდგენილი.

ჩემზე ამბობენ, ლობირებსო და რაღაც ინტერესი აქვსო. დიახაც, ვლობირებ, და ჩემი ინტერესი სწორედ ისაა, რაც ვთქვი.

# ინფორმაციის საჯაროობა საქართველოში კვლავ პრობლემად რჩება

პირველი გვერდიდან

**"როდესაც მოქალაქეს ინფორმაციის გაცემაზე უარს ეუბნებიან და ის სასამართლოს მიმართავს, სასამართლო პროცესი შეიძლება თვეობით გაჭიანურდეს. ამასობაში ინფორმაცია ოპერატიულობას და ფასს კარგავს,** - შენიშნავს ანა დოლიძე, რომელიც აუცილებლად მიიჩნევს საკნონმდებლო ცვლილების განხორციელებას, - **სასამართლო ვალდებული უნდა იყოს, ასეთი ტიპის საჩივრები დაუყოვნებლივ განიხილოს."**

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებულ კვლევას სხვადასხვა დაწესებულებებში განსხვავებული რეაქცია მოჰყვა. მაგალითად, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში საფოსტო ყუთები შეიცვალა მოქალაქეთა მისაღებით, სადაც განცხადებებს რეგისტრაციაში ატარებენ. **"ამას ვერ ვიტყვით ყველა დაწესებულებაზე. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროში კვლავ საფოსტო ყუთები ჰკიდია. კარგი იქნებოდა, თუ გენერალურ პროკურატურას სხვა უწყებებიც მიბაძავენ,"** - განუცხადა დოლიძემ "24 საათს".

# კენჭისყრა ჩვეული სცენარით

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის საკრებულომ დღეს ქალაქის ახალი ვიცე-პრემიერი უნდა დაამტკიცოს. გუშინ ვიცე-პრემიერობის კანდიდატი გიორგი მელაძე საკრებულოს ფრაქციების წარმომადგენლებს გაეცნო. დღევანდელ სხდომაზე კი დამტკიცების პროცესი ჩვეული სცენარით განვითარდება. ანუ, "ლეიბორისტები" და "მემარჯვენეები" კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ, უმრავლესობა კი ვიცე-პრემიერის კანდიდატურას მხარს დაუჭერს.*

საკრებულოს ფრაქციების შემოვლა მელაძემ "ნაციონალური მოძრაობიდან" დაიწყო. "ნაციონალები" ერთხმად აცხადებენ, რომ ქალაქის ახალი მერის გიგი უგულავას მიერ შერჩეული კადრი მათთვის მისაღებია. "ნაციონალების" აზრს, როგორც წესი, მთელი უმრავლესობა იზიარებს. რაც შეეხება ოპოზიციას, დაპირებებისა და ტაქტიანი საუბრის მიუხედავად, მელაძემ მათი გული მაინც ვერ მოიგო. განსაკუთრებით შთამბეჭდავი "ლეიბორისტებთან" შეხვედრა აღმოჩნდა. ოპოზიციური ფრაქციის წევრებმა ქალაქის ყოფილი მერის ზურაბ ჭიაბერაშვილისა და მისი გუნდის ლანძღვა-კრიტიკას შორის, მელაძისთვის საკუთარი პროგრამის გაცნობაც მოასწრეს. საქმე ეხება მუნიციპალური საავადმყოფოს გახსნას, რასაც "ლებორისტები" რამდენიმე წელია, ითხოვენ. **"მართლია, საკრებულოს თავმჯდომარე ჩვენს იდეას "ცისფერ ოცნებას" უწოდებს, მაგრამ დედაქალაქში ერთი მუნიციპალური საავადმყოფოს შენახვა ქალაქის ბიუჯეტისთვის ძნელი ნამდვილად არ არის. სულ 3 მილიონ ლარზე მეტი არ დაჯდება. ხალხს კარგ საქმეს გაუკეთებთ, საკუთარ თავს კი - პიარს,"** - ურჩიეს "ლეიბორისტებმა" მელაძეს და შეჰპირდნენ, რომ თუკი მათ წინადადებებს გაითვალისწინებდა, მხარს დაუჭერდნენ. თუმცა, ვიცე-პრემიერობის კანდიდატის მათი კაბინეტიდან გასვლისთანავე, გამოტყდნენ, რომ დღევანდელ სხდომაზე ვიცე-პრემიერის დამტკიცებაში მონაწილეობას საერთოდ არ აპირებენ. **"სააკაშვილისა და "ნაციონალების" კანდიდატურას ჩვენ მხარს არ დავუჭერთ,"** - პროტესტის მიზეზი განმარტეს "ლეიბორისტებმა". "მემარჯვენეებიც" დღევანდელ კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარს ამავე მიზეზით აცხადებენ. თუმცა, ძალზე საეჭვოა, მათმა პროტესტმა გიორგი მელაძის გავიცე-პრემიერებას ხელი შეუშალოს. უმრავლესობა ოპოზიციას უმრავლესობით კვლავ დაჯაბნის.

რაც შეეხება თვით გიორგი მელაძეს, მისი კანდიდატურის ქალაქის ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე წარდგენამდე, იგი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე გახლდათ. ახალ თანამდებობაზე დამტკიცების შემთხვევაში, პირველი, რასაც იგი გააკეთებს, ქალაქის შესყიდვების სამსახურის შექმნა იქნება. **"ტენდერების განხორციელებასა და საბიუჯეტო თანხების ხარჯვაზე პასუხისმგებელი მხოლოდ ეს ერთი სამსახური იქნება. ამ სამსახურის დებულებაზე უკვე ვმუშაობთ,"** - აცხადებს მელაძე. სხვათა შორის, მომავალი ვიცე-პრემიერის გეგმებში "ახალი მენეჯმენტის" "თბილგაზის" მართვიდან გაძევებაც შედის.

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ უშბის დალაშქვრის დროს დაიღუპნენ ცნობილი მთამსვლელები**

## ზაალ ქიქოძე და მერაბ ხაბაზი

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახებსა და ქართულ ალპინისტურ საზოგადოებას**

## სამძიმარი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ISFED-ის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და მისი პირველი გამგეობის პირველი თავმჯდომარის, ბატონ ზალიკო ქიქოძის დაღუპვის გამო. ბატონი ზალიკო ქიქოძე ტრაგიკულად დაიღუპა მწვერვალ უშბაზე მოწყობილ ქართულ-ჰოლანდიურ ექსპედიციაში მონაწილეობისას. SFED თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებსა და მთელ საზოგადოებას.

# მიიღეთ მერის არჩევის წესი, რომელიც ხალხის ნებას უკეთ ასახავს

პირველი გვერდიდან

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტმა იან მიკალეფმა.

არგუმენტი საკმაოდ მყარია - პრობლემა არა საკრებულოს მიერ მერის არჩევაშია, არამედ საარჩევნო სისტემაში და თვით საკრებულოს არჩევის წესში.

ევროპელ ექსპერტებთან ერთად, საერთაშორისო დოკუმენტების გამოყენებით, მერების და გამგებლების არჩევნების სხვადასხვა მოდელების განხილვის შემდეგ, საქართველოს თვითმმართველობის ეროვნულმა ასოციაციამ მიმართვა შეიმუშავა, სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული თვითმმართველობათა პოზიცია მერების და გამგებლების არჩევის წესზე.

ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო მიიჩნევს, რომ მერის და გამგებლის არჩევის წესი არ არის თვითმმართველობის ეფექტურობისა და ადგილობრივი დემოკრატიის ერთადერთი ინდიკატორი. თავისუფალი არჩევნების, სამართლიანი პოლიტიკური ბრძოლისა და განვითარებული თვითმმართველობის პირობებში, მერის და გამგებლის არჩევნების წესი ნაკლებად ახდენს გავლენას ადგილობრივ დემოკრატიაზე, **"მაგრამ დღეს, სუსტი თვითმმართველობის პირობებში, ხალხის მიერ არჩეული მერის/გამგებლის შეცვლა არაპირდაპირი გზით არჩეული პირით, შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს თვითმმართველობისა და დემოკრატიის განვითარებისთვის ქვეყანაში,"** - აღნიშნულია მიმართვის ტექსტში.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია ამის გამო, ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას მოუწოდებს, ქმედითი ნაბიჯები გადადგას საქართველოში სრულფასოვანი ადგილობრივი თვითმმართველობის დასამკვიდრებლად. უწინარესად, უზრუნველყოფილ უნდა იქნას ადგილობრივი საკრებულოების არჩევნების ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ღია და სამართლიან პოლიტიკურ ბრძოლას, ამომრჩევლის ნების მაქსიმალურ გამოხატვას და საკრებულოთა მაღალ ლეგიტიმაციას.

ამასთან, უნდა განხორციელდეს ფისკალური დეცენტრალიზაცია, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საშუალებას მისცემს, დამოუკიდებლად მართონ ადგილობრივი საჯარო ფინანსები უკეთესი გარემოს შექმნისა და მოქალაქეებისათვის ხარისხიანი მომსახურების მისაწოდებლად.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ აღნიშნული ფუძემდებლური პრინციპების აღიარებისა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში გათვალისწინების შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია მზადაა, დაეთანხმოს საქართველოს ყველა თვითმმართველ ერთეულში მერის და გამგებლის არჩევნების წესის შეცვლას და მათ არჩევას საკრებულოს მიერ საკუთარი შემადგენლობიდან.

ევროპის საბჭო მომავალ წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგს გეგმავს. მანამდე კი, მთავრობას მოუწოდებს აქტიურად ჩაერთოს ადგილობრივი დემოკრატიის უზრუნველყოფაში და კატეგორიულად მოითხოვს გარანტიებს, რომ ეს არჩევნები დემოკრატიული და თავისუფალი იქნება.



*საქართველოს თვითმმართველობის ეროვნულმა ასოციაციამ მიმართვა შეიმუშავა, სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული თვითმმართველობათა პოზიცია მერების და გამგებლების არჩევის წესზე.*

# სატელევიზიო რეიტინგების ტექნოლოგია სარეკლამო ბაზარს აფართოებს

*მათ, ვისაც ქართულ ტელესივრცეში რეკლამის განთავსება სურს, ამიერიდან შესაძლებლობა ეძლევა, წინასწარ მიიღოს ინფორმაცია, თუ რომელი არხი ან ტელეგადაცემაა რეიტინგული. კომპანია "ეი-ჯი-ბი", რომელმაც ფიფლმეტრი გამოიგონა და მსოფლიოს სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვის ახალი ტექნოლოგია შესთავაზა, საქართველოს ბაზარზეც გამოჩნდა. გუშინ კომპანიამ საზოგადოებას 6 თვის მონაცემები გააცნო, რომლის მიხედვითაც, ქართულ ტელესივრცეში ტელეკომპანია "რუსთავი-2" ლიდერობს.*

თამარ დვალი

სატელევიზიო რეიტინგების სისტემამ საგრძნობლად გააფართოვა საქართველოს სარეკლამო ბაზარი: სარეკლამო გაყიდვებმა 2001 წლიდან 2004 წლამდე 3,5 მილიონი ამერიკული დოლარიდან 7 მილიონ ამერიკულ დოლარს მიაღწია. ვარაუდობენ, რომ 2005 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 9 მილიონ დოლარს მიაღწევს.

სატელევიზიო რეიტინგების სისტემა აუდიტორიის კვლევის ორ ძირითად მეთოდს იყენებს. პირველი, რომელსაც IPM-მედია 2005 წლის ივლისამდე საქართველოს რეგიონებში იყენებდა, მოიცავს დღიურებზე დაფუძნებულ სისტემას. ასეთ შემთხვევაში, მაყურებლები დღიურში ჩანაწერებს აკეთებენ, თუ რომელ პროგრამას უყურებენ. მეორე მეთოდი, რომელიც 2005 წლის ივლისამდე "ეი-ჯი-ბი ნილსე მედია რიჩესერჩის" მიერ გამოიყენებოდა მხოლოდ თბილისში, მოიცავს "ფიფლმეტრებს". ეს არის ელექტრომოწყობილობები, რომლებიც დამონტაჟებულია ტელევიზორებზე და ავტომატურად იწერს მაყურებლის მიერ შერჩეულ პროგრამებს. აქამდე ასეთი დანადგარი 150 ოჯახში იყო დამონტაჟებული, თუმცა მათი რაოდენობა 180-მდე გაიზარდა. თბილისის გარდა, ფიფლმეტრები საქართველოს 6 დიდ ქალაქში 120 ოჯახში დამონტაჟდება.

სატელევიზიო არხების 2005 წლის 6 თვის მონაცემების მიხედვით, ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა (ქულებით):

1. "რუსთავი-2" - 5,73
2. "იმედი" - 3,5
3. "მზე" - 1,41
4. "პირველი არხი" - 1,31
5. "მაესტრო-ევრიკა" - 0,69
6. "202" - 0,47
7. "პირველი სტერეო" - 0,27

რაც შეეხება გასართობ გადაცემებს, ამ სფეროშიც პირველი სამი ადგილი ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის გადაცემებს უკავია. ესენია: "შაბათის შოუ", "ღამის შოუ" და "შაბათის შოუს სკეტჩები".

სპეციალისტების განმარტებით, რეიტინგების კვლევა ორივე მხარის ინტერესებში შედის, იქნება ეს სატელევიზიო არხი თუ დამკვეთი, რომელიც რეიტინგებზე დაყრდნობით კარგად განსაზღვრავს, სად და როდის განათავსოს რეკლამა.

IREX-ის დაფინანსებით საკონსულტაციო ფირმის KPMG-ის მიერ ჩატარებულმა აუდიტმა დაადასტურა, რომ საქართველოს ახალი სატელევიზიო რეიტინგების სისტემა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.




# საქართველოში მოქმედმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა ასოციაცია დააფუძნეს

საქართველოში მოქმედმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა ასოციაცია დააფუძნეს. გუშინ, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ასოციაციის პრეზენტაცია გაიმართა. ასოციაციის წევრი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები არიან - ფონდი "კონსტანტა", "ფინკა საქართველო", "კრედო", ფონდი "კრისტალი" და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი.

ასოციაცია საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის არსებული გარემოს გაუმჯობესებას, მათი ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობას და მიკროდაფინანსების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ისახავს მიზნად.

ასოციაციის უპირველესი ამოცანა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონთან დაკავშირებით საერთო ხედვის ჩამოყალიბება იქნება. ასოციაცია ეროვნულ ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობას აპირებს, რათა 2005 წლის ოქტომბრისთვის უკვე არსებობდეს კანონპროექტის საბოლოო ვერსია, რათა იგი პარლამენტმა 2005 წლის ბოლომდე მიიღოს.

აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციაში გაერთიანება მხოლოდ იმ ორგანიზაციას შეუძლია, რომლის სასესხო პორტფელი 10 მილიონ ლარამდეა. ასოციაციის ხელმძღვანელის თამარ ლებანიძის თქმით, ხელმძღვანელობა არ დაუშვებს ასოციაციაში იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წევრობას, რომელიც ხარჯებს შემოსავლით ვერ ფარავს. **24 საათი**

## მოკლედ

### ედპ გაერთიანებულ ოპოზიციას დაუპირისპირდა

შემოდგომაზე, თბილისში, ისნის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში ერთმანეთს "ნაციონალი" ბიძინა ბრეგაძე, პრაიმერში გამარჯვებული ოპოზიციის კანდიდატი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი გიორგი გოგნიაშვილი დაუპირისპირდებიან.

გოგნიაშვილის განცხადებით, ის ფაქტი, რომ ბრეგაძის წინააღმდეგ გაერთიანებული ოპოზიცია და ედპ ცალ-ცალკე იბრძოლებენ, იმას გამოიწვევს, რომ ოპოზიციონერები ერთმანეთს ხმებს წაართმევენ და ბრეგაძეს გამარჯვება გაუადვილდება.

"ძალზე არასასიამოვნო ფაქტია, რომ ვერ მოხერხდა ისნის მაჟორიტარული არჩევნებისთვის ოპოზიციის სრული გაერთიანება, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის. კერძოდ, როგორც კი ხუთმა ოპოზიციურმა პარტიამ პრაიმერის ჩატარების სურვილი გამოთქვა, ჩვენ მაშინვე გამოვეხმაურეთ ამ ინიციატივას და განვაცხადეთ, რომ შიდაოპოზიციურ არჩევნებში მონაწილეობისთვის მზად ვიყავით. მაგრამ, რატომღაც ოპოზიციონერებმა ჩვენთან კონტაქტს თავი აარიდეს და პრაიმერზე მხოლოდ ხუთი პარტია შეთანხმდა," - განაცხადა გიორგი გოგნიაშვილმა.

**მედიანიუსი**

### საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ და სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსომ ერთობლივი განცხადება გააკეთეს

საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ და სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსომ ახალქალაქის სოფელ სამსარში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გააკეთეს.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, მართლმადიდებელი ეკლესია და საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსო შეშფოთებას გამოთქვამენ ამ ფაქტის გამო. "დაპირისპირების მიზეზი გახდა სოფლის მოსახლეობის არასწორი ინფორმირება, რასაც მოჰყვა ქართული სასულიერო პირების მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფა," - ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსო თავისი მრევლის ქმედების გამო ბოდიშს იხდის დაზარალებულების წინაშე.

**ინტერპრესნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის ზონაში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მანდატი კიდევ ექვსი თვით გაგრძელდება. ამ ინიციატივით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კოფი ანანი გამოვიდა.

"გაერო-ს სადამკვირვებლო მისია საქართველოში, კერძოდ, კონფლიქტის ზონაში დესტაბილიზაციის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვან როლს ასრულებს," - აცხადებს კოფი ანანი. იგი, ასევე, მოუწოდებს დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერებს, რომ გალის რაიონში გაერო-ს სამოქალაქო პოლიციის მისიის წარმომადგენლები განათავსონ.

"მათ ხელი უნდა შეუწყონ გალში ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნასა და ადგილობრივ მოსახლეობას მშობლიურ, ქართულ ენაზე სწავლის უფლება უნდა მისცენ," - აცხადებს გენერალური მდივანი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს კონსერვატიული პარტია" საერთაშორისო დემოკრატიულ კავშირში - IDU-ში გაწევრიანებას ელოდება.

"კონსერვატიული პარტიის" წარმომადგენლებს IDU-ში გასაწევრიანებლად განაცხადი უკვე შეტანილი აქვთ.

"ჩვენი პარტიის გაწევრიანება იმ ორგანიზაციაში, რომელშიც მსოფლიოს 46 მემარჯვენე ძალაა გაერთიანებული, აუცილებლად განხორციელდება. ამაზე IDU-ში ლიდერების შეკრებაზე ჩვენი მიწვევაც მეტყველებს," - აღნიშნა "კონსერვატიული პარტიის" ლიდერმა კობა დავითაშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა ნიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "მე ვესროლე ყუმბარა ბუშს"

პირველი გვერდიდან

მართლაც სომხური წარმოებისა იყო თავისუფლების მოედანზე აღმოჩენილი ხელყუმბარა, თუ იგი არუთინიანის მიერაა დამზადებული? ვინ არის ვლადიმერ არუთინიანი და რა კავშირები ჰქონდა მას? მართლაც დამოუკიდებლად მოქმედებდა იგი, თუ მას ზურგს უმაგრებდა რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახური ან რომელიმე ტერორისტული ორგანიზაცია? და რაც მთავარია, რამდენად მყარი ფსიქიკისაა დაკავებული ეჭვმიტანილი? - ეს ის მთავარი კითხვებია, რომელსაც ქართველმა სამართალდამცველებმა პასუხი უნდა გასცენ და რის შემდეგაც რეალურად დადგინდება, რატომ ისროლა ორი ქვეყნის პრეზიდენტის გამოსვლისას ხელყუმბარა არუთინიანმა. ამ მიმართულებით სამართალდამცველები უკვე მუშაობენ. არუთინოვის სახლის ჩხრეკისას ამოიღეს თვითნაკეთი დეტონატორები, გაურკვეველი დანიშნულების კაბელები, ჯერჯერობით დაუდგენელი ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებები, ხელყუმბარები, სამხედრო ფორმები, ღამის სათვალთვალო მოწყობილობები, ხმლები, რუკები, სხვადასხვა დანიშნულების ელექტრომოწყობილობები, ფრედერიკ ფორსაიტის დეტექტიური ბესტსელერი, რომელშიც მოთხრობილია შარლ დე გოლის წინააღმდეგ მოწყობილი თავდასხმის შესახებ. გარვცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, არუთინიანის სახლში აღმოჩენილია ლიტერატურა, რომელიც ადასტურებს ერთ-ერთ სექტანტურ დაჯგუფებასთან მის კავშირს.

არუთინიანს მეზობლები ახასიათებენ, როგორც მარტოსულ, ჩაკეტილ ადამიანს, რომელთანაც მეგობარი არასდროს უნახავთ.

არუთინიანის საქმეს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს და, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, სამართალდამცველები მალე დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიან საზოგადოებას.

ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ინფორმატორებისთვის დაწესებული ჯილდო - 150 ათასი ლარი - გადანაწილდება სამ ადამიანზე.

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ შსს-მ გამოაქვეყნა ფოტორობოტი სავარაუდო ტერორისტისა და მოსახლეობას დახმარება სთხოვა. არუთინიანი სწორედ ცხელ ხაზზე შესული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს. მინისტრის თქმით, სპეციალური კომისია თითოეული მოწმის როლს დაადგენს და ამის მიხედვით გადაანაწილებს თანხას.

მერაბიშვილმა საზოგადოებას და პრესას გამოძიებასთან თანამშრომლობისკენ მოუწოდა, რათა დადგინდეს ეჭვმიტანილის ყველა კონტაქტი და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები.

საქართველოს შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გმირი უწოდა დაღუპულ ზურაბ ქვლივიძეს. მინისტრმა მადლობა გადაუხადა შსს-ს ყველა თანამშრომელს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ეჭვმიტანილის დაკავების სპეცოპერაციაში. მინისტრისვე განცხადებით, უახლოეს დღეებში შედგება შეხვედრა FBI-ს საქართველოს რეგიონული ბიუროს წარმომადგენლებთან, სადაც დეტალურად განიხილავენ ვაშლიჯვრის სპეცოპერაციისა და მიმდინარე გამოძიების შედეგებს.

არუთინიანის დაკავების შესახებ კომენტარი უკვე გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურის წარმომადგენელმა ტომ მაზურმა. **"ჩვენ არ ვმონაწილეობდით ოპერაციაში, მაგრამ თვალს ვადევნებთ იმას, თუ როგორ მიმდინარეობდა ქართული გამოძიება,"** - განაცხადა მაზურმა. ტელეკომპანია სიბი-ეს-ის ინფორმაციით, ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის დაცვაზე პასუხისმგებელი აშშ-ს საიდუმლო სამსახური თვალყურს ადევნებს თბილისში აშშ-ს და საქართველოს პრეზიდენტებზე თავდასხმაში ეჭვმიტანილის დაკავების შემდეგ წარმოებულ გამოძიებას.

ამის თაობაზე განცხადება გააკეთა აშშ-ს საიდუმლო სამსახურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ერიკ ზარენმა.

საქართველოში აშშ-ს საელჩო კი მიესალმა აშშ-სა და საქართველოს პრეზიდენტების ტერაქტის მცდელობაში ეჭვმიტანილი პირის დაკავების ფაქტს. აშშ-ს საელჩოს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ **"საქართველოს შს სამინისტრომ, აშშ-ს ფედერალურ საგამოძიებო ბიუროსთან თანამშრომლობით, გულმოდგინე გამოძიებითა და საქმისადმი თავდადების წყალობით, შეძლო ეჭვმიტანილის დაკავება. აშშ-ს საელჩო აფასებს საქართველოს შს სამინისტროს მიერ გაწეულ მძიმე შრომას, ქართველ სამართალდამცველთა სიმამაცესა და თავდადებას.**

**ამასთან, აშშ-ს საელჩო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სპეცოპერაციისას დაღუპული შსს-ს თანამშრომლის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილი ზურაბ ქვლივიძის ოჯახს და მის მეგობრებს."**

ვაშლიჯვარის სპეცოპერაციისას დაჭრილი ეჭვმიტანილი რესპუბლიკურ საავადმყოფოშია მოთავსებული. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის ირაკლი გიორგობიანის ინფორმაციით, არუთინოვს სამი ჭრილობა აქვს მიყენებული, თუმცა, მას ოპერაციის გაკეთება არ დასჭირვებია.

**"მოხდა მუცლის ღრუს ლაპარასკოპიული დათვალიერება. გაირკვა, რომ ტყვიას მუცლის ღრუში არ შეუღწევია. რაც შეეხება ფილტვს, ის შეკუმშული იყო, მაგრამ ექიმების ჩარევის შედეგად ფილტვის გახსნა შესაძლებელი გახდა. ამჟამად მისი მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა. ავადმყოფის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება,"** - განაცხადა ირაკლი გიორგობიანმა.

ჯერჯერობით ეჭვმიტანილის დაკითხვა არ მომხდარა, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მასთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საშუალებას არ იძლევა. თუმცა, სამართალდამცველები აქტიურ გამოძიებას აგრძელებენ და, შს მინისტრის პირობის თანახმად, საქმის დეტალები ძალიან მალე გახდება ცნობილი.




## ფინანსური პოლიცია ფალსიფიკატორების წინააღმდეგ

როგორც მოსალოდნელი იყო, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ფინანსურ პოლიციასთან ერთად, ფალსიფიკატორებს ბრძოლა გამოუცხადა. სწორედ ფალსიფიცირებული ღვინის ჩამოსხმის გამო, გუშინ ფინანსურმა პოლიციამ გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის ღვინის ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი ამბერკი მინდიაშვილი დააკავა. ფინანსური პოლიციის მიერ მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ საწარმოში "გურჯაანს", "მუკუზანს" და "საფერავს" ასხამდნენ. **"ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გვქონდა მონაცემები, რომ ფალსიფიცირებული ღვინოები ისხმებოდა. ჩვენ შევედით, დავლუქეთ ქარხანა და იქ წარმოებულ ღვინოებს ჩაუტარდა ექსპერტიზა, რის შემდეგაც მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ქარხნის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დაგვეკავებინა,"** - აცხადებს კახეთში ფინანსური პოლიციის უფროსი გოდერძი ხიზანიშვილი.

ქარხნის ოფიციალური მეპატრონე ელგუჯა ქებურიაა, რომელსაც ბიზნესი რუსეთში აქვს. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ფალსიფიცირებული ღვინის რეალიზება მოსკოვში აღნიშნული პიროვნების საშუალებით ხდებოდა, რაოდენობა წლიურად 10-12 ათას ბოთლს წარმოადგენდა.

მომხდარს დაკავებულის ადვოკატი აპროტესტებს და აცხადებს, რომ ექსპერტიზის შედეგები საეჭვოა და ხელახალი ექსპერტიზის დანიშვნას ითხოვს. თავად დაკავებული კი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და ამბობს, რომ მისი დაპატიმრება ვიღაცის ინტერესებში შედიოდა.

**24 საათი**

## დუისელები პრეზიდენტისგან დაკავებულების შეწყალებას მოითხოვენ

გუშინ სოფელ დუისის მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. აქციაზე რამდენიმე კვირის წინ ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაკავებული ადამიანების გათავისუფლებას მოითხოვდნენ. მათგან ორი მძიმედ დაჭრილია. ისინი ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. აქციის ორგანიზატორები სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ვახა და ავთანდილ გუმაშვილების ნათესავები იყვნენ.

აქცია რამდენიმე საათს გაგრძელდა და ინცინდენტს ადგილი არ ჰქონია. დუისელები პრეზიდენტისგან დაკავებულების შეწყალებას მოითხოვენ. მათი თქმით, აქცია დღემდე იმიტომ არ გამართეს, რომ ხელისუფლებისგან კონსტრუქციულ დიალოგს ელოდნენ. **"თუ არ მოხდება უდანაშაულო ადამიანების გათავისუფლება, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები მოვაწყოთ"**, - ამბობენ დუისელები.

საქართველოს ხელისუფლებას გარდაცვლილ გუმაშვილების ოჯახებისთვის დაპირებული კომპენსაცია - შვიდი ათასი ლარი დღემდე არ გადაუცია.

**24 საათი**




**ფარმაცევტული კომპანია "ავერსი-ფარმა"-ს განცხადება ფინანსური პოლიციის მიერ განხორციელებულ სააფთიაქო რეიდთან დაკავშირებით**

უპირველეს ყოვლისა, კომპანია "ავერსი-ფარმა" მიესალმება იმ ფაქტს, რომ ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე აღიკვეთოს ფალსიფიკაცია. მსგავსი გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, ქვეყნის მოსახლეობას ჯანმრთელობისათვის სახიფათო პროდუქციისგან იცავს და, მეორე მხრივ, წინ წამოწევს იმ ფარმაცევტულ კომპანიათა როლს, რომლებიც ბაზარს მხოლოდ და მხოლოდ ხარისხიანი მედიკამენტებით უზრუნველყოფენ.

მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია სწორედ ლიდერი კომპანია "ავერსი", რომლის ევროპული სტანდარტის სააფთიაქო ქსელი, დღიდან დაარსებისა, ხარისხისა და პროფესიული მომსახურების სრული გარანტი გახლავთ.

გუშინდელ რეიდთან დაკავშირებულ მასალებში ტელეეთერით რამდენჯერმე გაჟღერდა აზრი, რომ კუსტარული წესით დამზადებული პრეპარატები პრესტიჟულ აფთიაქებშიც იყიდება.

ვინაიდან საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სააფთიაქო ქსელს სწორედ "ავერსი" ფლობს, მისი ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ "ავერსის" სააფთიაქო ქსელში ფალსიფიცირებული და კონტრაბანდული მედიკამენტების მოხვედრა გამორიცხულია. "ავერსის" GMP სტანდარტის ფარმაცევტული საწარმო სულ ახლახან გახსნა, რითიც ფალსიფიკატორთა არაჯანსაღ კონკურენციას სერიოზული დარტყმა მიაყენა. გარდა ამისა, მას ამარაგებენ მსოფლიოს წამყვანი ფარმაცევტული კომპანიები: ავენტისი, ბაიერი, ბერინგერი, გლაქსოსმიტკლაინი, ნიკომედი, იამანუჩი...

"ავერსი" ხელისაუფლებასთან ერთად შეეცდება თავისი წვლილი შეიტანოს ფარმაკოტერორიზმთან ბრძოლაში, რომელიც დღეს ასე აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში, და ამით მაქსიმალურად შეამციროს შანსი იმისა, რომ თითოეული ჩვენგანის ოჯახში სამკურნალო აბების ნაცვლად სიცოცხლისათვის საშიში ნივთიერება მოხვდეს.

*"ავერსი" გისურვებთ ჯანმრთელობასა და სულიერ სიმშვიდეს!*

# პრეტენზია პრეტენზიისთვის

პირველი გვერდიდან

ზარალი, რომელიც აფხაზეთმა ომის დროს განიცადა, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ 12-13 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული. შეუძლებელია ისეთი ხალხის პოვნა, ვისაც სჯერა, რომ საქართველო ასეთ სოლიდურ კომპენსაციას გადაიხდის. მეორე მხრივ, ბევრი დარწმუნებულია, რომ საკითხის დაყენება მაინც აუცილებელია.

**"ამ პრობლემიდან უამრავი სხვა პრობლემა გამომდინარეობს. საქართველო დღეს კატეგორიულად მოითხოვს დევნილების დაბრუნებას. ამ პრობლემას თუნდაც მხოლოდ ეკონომიკური ჭრილიდან რომ შევხედოთ, გაუგებარია, სად უნდა დაბრუნდნენ დევნილები? მათი სახლები დანგრეულია, მთელი ინფრასტრუქტურა განადგურებულია. ადამიანმა ცხოვრება რომ შეძლოს, უნდა იცოდეს, სად დასახლდეს და რით იარსებოს. ესეც კომპენსაციის საკითხს უკავშირდება, რადგან ყველაფერი საქართველოს მიერ წამოწყებული ომის შედეგად განადგურდა,"** - აღნიშნავენ კლუბ "ახალი პოლიტიკის" წარმომადგენლები.

საქართველოს მიერ აფხაზეთისთვის მიყენებული ზარალის კომპენსირების საკითხის დაყენების რეალობაში ეჭვი, სხვებზე მეტად, ცნობილ იურისტ თამაზ ქეცბას ეპარება. **"საქართველოსგან კონტრიბუციის მიღება დღეს შეუძლებელია. თავად საკითხის დაყენებაა არარეალური. ზარალად უნდა ჩაითვალოს ორმხრივი ბრძოლების დროს განცდილი ზიანი. ამის განსახორციელებლად საჭიროა, რომ საქართველომ აღიაროს თავისი პასუხისმგებლობა ომის გაჩაღებისთვის, ის კი ამის გაკეთებას არ აპირებს,"** - ამბობს ქეცბა.

პერსპექტივაში, ამ საკითხის გადაჭრის იმედი აქვს აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანს სტანისლავ ლაკობას. **"შეფასება უნდა მოხდეს, მაგრამ დღეს ეს არარეალურია, რადგან საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან აფხაზეთის არაღიარების პირობებში, გაურკვეველია, სად მიიღებენ ჩვენს სარჩელს,"** - განაცხადა ლაკობამ.

ამრიგად, აფხაზური მხარე აპირებს, ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების პროცესში დააყენოს პრინციპულად ახალი საკითხი: ვინ არის დამნაშავე ომის დაწყებაში? აფხაზეთში ეჭვი არავის ეპარება, რომ დამნაშავე მხოლოდ და მხოლოდ საქართველოა.

United Nations Development Programme
UNDP Georgia
21 July 2005

გაეროს განვითარების პროგრამა, თავისი პროექტების ფარგლებში ატარებს სემინარებსა და ტრენინგებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს მასშტაბით. ამ მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამა აცხადებს კონკურსს ადამიანის უფლებათა ექსპერტების ჯგუფის შექმნაზე, რომლებიც მოწვეულნი იქნებიან სემინარებისა და ტრენინგების ჩასატარებლად ქვემოთ მოცემული თემატიკის შესაბამისად.

**აუცილებელი მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება, სასურველია იურიდიული;
- ადამიანის უფლებათა სწავლების გამოცდილება;
- კომპეტენცია ერთ-ერთ ან რამდენიმე ქვემოთ მოცემულ საკითხებში:

- ადამიანის უფლებები სამართალდამცავ ორგანოებში;
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები;
- გენდერი
- დისკრიმინაცია
- რელიგიის თავისუფლება
- უმცირესობათა უფლებები

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ავტობიოგრაფიის (CV) ელექტრონული ვერსია ადამიანის უფლებათა სფეროში მუშაობის და განათლების მითითებით 2005 წლის 1 აგვისტომდე, შემდეგ მისამართზე: irina.tsagareli@ombudsman.ge

დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია გაერო-ს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე:http://www.undp.org.ge.

**გაეროს განვითარების პროგრამა დაუკავშირდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.**

**განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ**

საქართველოში მოღვაწე გაეროს სააგენტოთა ჯგუფი აცხადებს პლაკატების კონკურსს. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირსა და ორგანიზაციას. ნამუშევრებისა და განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წ. 12 აგვისტო.

დამატებითი ინფორმაცია კონკურსის პირობების შესახებ იხილეთ შემდეგ მისამართზე:

http://www.ungeorgia.ge/files/upload/Announcements/poster.geo.doc .

**განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ**

საქართველოში მოღვაწე გაეროს სააგენტოთა ჯგუფი აცხადებს ღია ტენდერს რეკლამის განთავსებაზე ბილბორდების, ლაით ბოქსების და პლაკატების დაბეჭდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს სათანადო გამოცდილების მქონე ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას. სატენდერო განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წ. 12 აგვისტო.

დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პირობების შესახებ იხილეთ შემდეგ მისამართზე:

http://www.ungeorgia.ge/files/upload/Tenders/tender05.geo.doc .

2005 წლის 23 ივლისს, 13 საათზე სასტუმრო "თბილისი მერიოტის" საკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტთა საერთაშორისო კავშირი "ობიექტივი" იწყებს პროექტის განხორციელებას, რომლის სახელწოდებაა "პროფესიონალთა საუბრები აქტუალურ თემებზე".

პროექტი გულისხმობს ღია დისკუსიებს "ცხელ თემებზე" და დიალოგში მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

"ჩვენ ფეხზე ვართ!", - ასეთია პროექტის დევიზი და მასში პოლიტიკოსები არ მონაწილეობენ.

პირველი დიალოგი გაიმართება თემაზე - "განათლების რეფორმა - მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები". შესაბამისად, დისკუსიაში მონაწილეობისთვის მიწვეულები არიან მეცნიერები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მშობლები, აბიტურიენტები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები.

# მაჟორიტარი გუბერნატორს აკრიტიკებს

გიორგი ასანიშვილი

ონის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი დავით საგანელიძე რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულს ოთარ სირაძეს უპირისპირდება. ოპოზიციონერი პარლამენტარი გუბერნატორის იმ განცხადებებმა აღაშფოთა, რომელიც გუშინ მასმედიაში გავრცელდა.

ონის რაიონის გამგებლის ვასილ მეტრეველის გადადგომის კომენტირებისას, ოთარ სირაძე აღნიშნავს, რომ გამგებელმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, როდესაც დარწმუნდა, რომ რაიონისთვის მეტის გაკეთება აღარ შეეძლო. **"ვასილ მეტრეველმა თანამდებობის დატოვება თავად გადაწყვიტა. ამ პოსტზე ისეთი ადამიანი დაინიშნება, ვინც ონში მიმდინარე აღმშენებლობის პროცესს უფრო აქტიურად გააგრძელებს. აქ, პირველ რიგში, გადასაწყვეტია გარე განათებისა და ფასადების შეღებვის პრობლემა,"** - განაცხადა ოთარ სირაძემ.

დეპუტატ დავით საგანელიძის მტკიცებით, ონის რაიონის გამგებლის პოსტი ვასილ მეტრეველს თავისი ნებით არ დაუტოვებია. განცხადება გადადგომის შესახებ მან 3 მარტს დაწერა, როდესაც ოთარ სირაძე რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულად დაინიშნა. გუბერნატორმა მაშინ გამგებლის თხოვნა არ დააკმაყოფილა და მისი განცხადება ხელმოსაწერად პრეზიდენტს მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ შეუტანა. პარლამენტარის თქმით, ვასილ მეტრეველის გადაყენება უკანონოდ მოხდა, რადგან თუ გადადგომის შესახებ განცხადება მისი დაწერიდან 15 დღის განმავლობაში არ დაკმაყოფილდება, იგი ძალადაკარგულად ითვლება.

"მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი ვასილ მეტრეველის გადაყენების მიზეზებსაც ასახელებს. საგანელიძის თქმით, გუბერნატორმა სთხოვა ვასილ მეტრეველს, რომ გამგებლის პირველ მოადგილედ "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტი, ვინმე ბერიანიძე დაენიშნა და როდესაც ამ თხოვნაზე უარი მიიღო, 3 მარტს დაწერილ განცხადებას მსვლელობა მისცა.




ლევან ხერხეულიძის ფოტო

*დავით საგანელიძე პრეზიდენტის რწმუნებულს აკრიტიკებს.*

დეპუტატს ხელისუფლების მიერ განხორციელებული საკადრო ცვლილების პარტიული მხარეც აოცებს: თანამდებობიდან გადაყენებული ვასილ მეტრეველი "გაერთიანებული დემოკრატების" გუნდის წევრია, მის ადგილზე დანიშნული ამირან მეტრეველი კი სოციალისტია.

დავით საგანელიძე პრეზიდენტის რწმუნებულს იმისთვისაც აკრიტიკებს, რომ მაშინ, როდესაც წყალდიდობის შემდეგ ონის რაიონში უმძიმესი მდგომარეობაა, გუბერნატორი ფასადების შეღებვისა და მოედნების განათებაზე მეტ პრობლემას ვერ ხედავს. ოპოზიციონერი დეპუტატი, აგრეთვე, შენიშნავს, რომ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებული ხალხში ავტორიტეტით ვერ სარგებლობს და "ონის რაიონის მოსახლეობას მისი დანახვაც კი არ უნდა."

# "კონსერვატორებს" სამშობლოში სიურპრიზი დახვდათ

გიორგი ასანიშვილი

18-19 ივლისს, საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის (IDU) მიწვევით, ვაშინგტონში იმყოფებოდნენ საქართველოს კონსერვატიული პარტიის ლიდერი კობა დავითაშვილი და პარტიის გენერალური მდივანი კახა კუკავა. ქართველ პოლიტიკოსებს შეხვედრები ჰქონდათ ამერიკის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში, სახელმწიფო დეპარტამენტში, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა და ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტის სათავო ოფისებში.

კობა დავითაშვილის თქმით, ვიზიტის მიზანი იყო საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ ამერიკული მხარის ინფორმირება.

**"მათი შეშფოთება გამოიწვია ჯორჯ ბუშის ვიზიტის შემდეგ საქართველოში ოპოზიციის მიმართ ძალადობის ტალღის აგორებამ. ამერიკის პრეზიდენტთან დავით გამყრელიძის შეხვედრის დროს გაკეთდა მინიშნება, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციაზე ძალადობა უნდა შეწყვიტოს და მასთან ნორმალური ურთიერთობები დაამყაროს,"** - განაცხადა სამშობლოში დაბრუნებულმა კობა დავითაშვილმა.

პარლამენტში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე "კონსერვატორების" ლიდერმა აღნიშნა, რომ შემოდგომისთვის დაგეგმილ შუალედურ არჩევნებში ამერიკელები დამკვირვებლებად მოიპატიჟეს და მათგან თანხმობა მიიღეს.

როგორც ცნობილია, შუალედურ არჩევნებამდე ოპოზიციური ძალები წინასწარი არჩევნების (ე. წ "პრაიმერის") გამართვას გეგმავენ. ბოლო მომენტში, "რესპუბლიკელებმა" მასში მონაწილეობაზე უარი თქვეს და, "პრაიმერიზების" ნაცვლად, სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარებას დაუჭირეს მხარი, რაც კობა დავითაშვილისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა.

**"რესპუბლიკელების განცხადება ჩვენთვის მოულოდნელია. ადრე ყველა ოპოზიციური ჯგუფი თანახმა იყო, რომ წინასწარი არჩევნები ჩატარებულიყო,"** - აღნიშნავს დავითაშვილი, რომლისთვისაც "პრაიმერის" სოციოლოგიური გამოკითხვით ჩანაცვლება კატეგორიულად მიუღებელია. დეპუტატის განცხადებით, თუ "რესპუბლიკელები" წინასწარ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ, დანარჩენი ოპოზიციური პარტიების მონაწილეობით ის მაინც გაიმართება.

უცხოეთი

# ტერორი გრძელდება

პირველი გვერდიდან

ლონდონის ცენტრში კვლავ განგაშია. სავარაუდოდ, მეტროს ერთ-ერთ სადგურზე - "უორენ-სთრითზე" ამოქმედდა თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა. ამის შესახებ პირველი ინფორმაცია, პოლიციაზე დაყრდნობით, ტელეკომპანია "სკაინიუზ"-მა გაავრცელა. ტელეკომპანია იუწყებოდა, ასევე, ხალხის სასწრაფო ევაკუაციაზე მეტროს სადგურებიდან: "ოვალი" და "შეფერდს ბუში".

სხვა წყაროები იტყობინებოდნენ, რომ აფეთქდა მხოლოდ დეტონატორები. გუშინ საღამოს მხოლოდ ერთი დაშავებულის შესახებ იყო ცნობილი.

"სკაინიუზი" იუწყება, აგრეთვე, ინციდენტზე სამგზავრო ავტობუსში. ლონდონის აღმოსავლეთში - ჰეკნის რაიონში, ნომერ 26 ავტობუსში მცირე აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც ავტობუსის უკანა მინა ჩაიმსხვრა. ოფიციალური ცნობით, შემთხვევისას არავინ დაშავებულა. ლონდონის პოლიციის უფროსის იან ბლერის თქმით, ინციდენტი ძალიან სერიოზული იყო, თუმცა ადგილი ჰქონდა "მცირე აფეთქებებს ან აფეთქებების მცდელობებს".

**"აშკარაა, ეს ძალიან სერიოზული ინციდენტია. ამჟამად დაშავებულთა რაოდენობა მცირეა... აფეთქებები გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე წინა შემთხვევისას,"** - განუცხადა პოლიციის შეფმა ჟურნალისტებს. მიუხედავად გავრცელებული ინფორმაციისა, რომ ხელისუფლება სიტუაციას აკონტროლებდა, მაინც აუცილებელი გახდა ლონდონის მეტროპოლიტენის თითქმის მთლიანად გაჩერება. სააგენტო "ესოშიეტედ პრესის" ცნობით, სადგურ "უორენ-სთრითთან" ქიმიური თავდასხმის საწინააღმდეგო ჯგუფიც კი გამოჩნდა.

**"საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის. პოლიციამ ძალიან კარგად იმუშავა,"** - განაცხადა ინციდენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა. მისი თქმით, პოლიცია ყველაფერს აკეთებს ვითარების ნორმალიზებისთვის. ტონი ბლერმა გუშინვე მოკლედ შეაფასა მომხდარი მოვლენა: **"ჩვენ ვიცით, რატომ მოხდა ასეთი რამ - იმიტომ, რომ ხალხი დააშინონ."**

"უახლოეს მომავალში პოლიცია სრულ ანგარიშს გააცნობს საზოგადოებას მომხდარის შესახებ," - განაცხადა გუშინ საღამოს პრემიერ-მინისტრმა. მისი თქმით ახლა მთავარი ამოცანაა სიმშვიდის შენარჩუნება და ჩვეული საქმიანობის გაგრძელება.

მართალია, თვითმხილველები ირწმუნებოდნენ, რომ აფეთქებების დროს პანიკა არ ყოფილა, მაგრამ საეჭვოა, ორი კვირის განმავლობაში უკვე მეორე ტერაქტს ლონდონელთა ფსიქიკაზე გავლენა არ მოეხდინა.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ლონდონის პოლიცია გუშინ მართლაც შესაშური ოპერატიულობით მუშაობდა. საღამოსვე ცნობილი გახდა ტერაქტებში ეჭვმიტანილი ორი პიროვნების დაკავების შესახებ. ერთი საეჭვო პირი დააკავეს დაუნინგ სთრითზე, პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის შესასვლელთან. ტელეკომპანია "სკაინიუზ"-მა პირდაპირ ეთერში აჩვენა, თუ როგორ მიჰყავდათ გაურკვევლი მიმართულებით ჯავშანჟილეტებში ჩაცმულ და ავტომატებით შეიარაღებულ პოლიციელებს დაბალი, შავგვრემანი, სათვალიანი მამაკაცი. ცოტა მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ საუნივერსიტეტო კოლეჯში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად კიდევ ერთი შავგვრემანი მამაკაცი დააკავეს. თვითმხილველთა თქმით, ეჭვმიტანილს ლურჯი მაისურიდან მავთულები მოუჩანდა - იგი, სავარაუდოდ, თვითმკვლელი-ტერორისტი იყო.

საგულისხმოა, რომ გუშინ აფეთქებებამდე ცოტა ხნით ადრე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი თათბირს მართავდა პოლიციისა და სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან. შეხვედრისას განიხილებოდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ასამაღლებლად კანონმდებლობის გამკაცრების საკითხი.

# ჩინეთი აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს ანგარიშს მკაცრად აკრიტიკებს

აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული ყოველწლიური ანგარიშის გამოქვეყნებამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გაღიზიანება გამოიწვია. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პეკინში მყოფ ამერიკელ დიპლომატს ჩინეთის სამხედრო ძლიერების შესახებ პენტაგონის მოხსენების უარყოფა მოსთხოვა. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის იეჩი იანის განცხადების თანახმად, ზემოაღნიშნული ანგარიში "უსაფუძვლო" და "უპასუხისმგებლო ბრალდებაა".

**"ანგარიშში მოყვანილი მონაცემები ფაქტებს არ ეყრდნობა და მიზნად მხოლოდ ჩინური საფრთხის აღმატებით ხარისხში აყვანას ისახავს. აშშ-ს მხრიდან ეს ჩინეთის საშინაო საქმეებში უხეშად ჩარევაა და სხვა სახელმწიფოებთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობების დაძაბვას ემსახურება,"** - აღნიშნა იეჩი იანმა.

თუმცა, როგორც აშშ-ს საელჩოში აცხადებენ, ანგარიშში არაფერი იყო გადაჭარბებით ნათქვამი. ჩინეთის რეალური სამხედრო ხარჯები ყოველწლიურად ორჯერ ან სამჯერ მეტად იზრდება, ვიდრე ეს პეკინის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებულ ციფრებშია მოყვანილი. აშშ-ს თავდაცვის მდივნის დონალდ რამსფელდის თქმით კი, ანგარიშში ნათლადაა წარმოჩენილი ის მიზეზები, თუ რატომ არ უნდა მოუხსნას ევროკავშირმა ჩინეთს იარაღზე დაწესებული ემბარგო. "მართალია, ჩინეთს ჯერჯერობით არ ძალუძს ტაივანის ოკუპაცია, მაგრამ მომავალში ასეთი შესაძლებლობის გამორიცხვა მაინც არ შეიძლება," - ნათქვამია ანგარიშში.

უნდა აღინიშნოს ჩინური მხარის პოზიციაც - მათი თქმით, აშშ-ს სამხედრო ბიუჯეტი 17.8-ჯერ მეტია ჩინეთის სამხედრო ხარჯებზე. ვაშინგტონში ჩინეთის ყოფილი ელჩის იეჩი იანის თქმით, ამ თემით მანიპულირება აშშ-ს ტაივანისათვის იარაღის მიყიდვის მასშტაბების გაზრდის გასამართლებლად დასჭირდა; და რა გასაკვირია, რომ ჩინეთიც ზრუნავდეს საკუთარი უსაფრთოხების განმტკიცებაზე.

დაბოლოს, სააგენტო "ნიუ ჩაინა ნიუს"-ის ვებგვერდზე განთავსებული კომენტარების მიხედვით, ასეთი მოქმედებით აშშ-ს ხელისუფლებამ ჩინეთი მტრის მორიგ ხატად წარმოადგინა ავღანეთისა და ერაყის ოკუპაციის შემდეგ.

როგორც "ნიუ იორკ ტაიმსი" წერს, პენტაგონის მოხსენების შემდეგ ჩინეთი, უკმაყოფილების გამოხატვასთან ერთად, ფრთხილი პოზიციების დაკავებას ამჯობინებს.

**"ჩვენ უნდა ვუფრთხილდეთ ზოგიერთებს პენტაგონში,"** - აცხადებს ჩინური მხარე.

**განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ**

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ:331839, 331939. ფაქსი 331934, E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს " გლობალური ფონდის" პროექტის ფარგლებში საწვავის ტალონური სისტემით მიწოდების მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის"პროექტი)

შესყიდვის ობიექტია:

| დასახელება | განზომილება | რაოდენობა |
|---|---|---|
| ბენზინი - რეგულარი | ლიტრი | 51660 |

2. საწვავი უნდა მიეწოდოს ორგანიზაციებს თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ყოველდღიურად ავტოგასამართი სადგურების მეშვეობით: 2005 წლის სექტემბრიდან 2006 წლის დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 6 აგვისტოს 14:00 საათიდან 8 აგვისტოს 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

*4.1 იურიდიული პირისათვის:*

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

*4.2. ფიზიკური პირისათვის:*

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

*4.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:*

ა) ინფორმაცია მათ საკუთრებაში (შესაძლებელია იჯარა) არსებული ავტოგასამართი სადგურების შესახებ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 2005 წლის 8 აგვისტოს 17:00 საათზე.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 11 აგვისტოს 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

8. პრეტენდენტს უფლება აქვს წარადგინოს ერთი ძირითადი სატენდერო წინადადება.

9. ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: დავით აბდუშელიშვილი (მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული, ტელეფონი 331839, 331939 ფაქსი 331934).

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ბერიშვილი

## ჩვენ აფხაზი ერის გადასარჩენად ვიღწვით

*აქამინდელი დისკუსია, ძირითადად, ორი აქტუალური თემის გარშემო გაიმართა - აფხაზეთში რკინიგზის გახსნის პერსპექტივა და აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების ბედ-იღბალი. ცხადია, საუბარი სხვა მტკივნეულ საკითხებსაც შეეხო. დისკუსიაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო საზოგადოებრივი მოძრაობის - "აფხაზეთის მშვიდობა და ალორძინება" - კოორდინატორი, პროფესორი ლორიკ მარშანია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი ზურაბ პაპასქირი და მოძრაობა "დაბრუნების" გამგეობის წევრი, პროფესორი რაულ კუპარავა.*

ზაზა ფარეიშვილი



ლორიკ მარშანია, ზურაბ პაპასქირი და რაულ კუპარავა.

**- სასარგებლო იქნება თუ არა საქართველოსთვის აფხაზეთში რკინიგზის გახსნა?**

**ლორიკ მარშანია:** "რა თქმა უნდა, რკინიგზა ყველასთვის სარფიანია. მაგრამ, ჩემი აზრით, ერთი პირობა უნდა შესრულდეს - დაბრუნდნენ დევნილები გაგრაში, გუდაუთაში და მათთან ერთად, ერთობლივად დაიცვან რკინიგზა [illegible] - ენგურამდე. თუ დევნილები არ დაბრუნდნენ, მათ შორის - 30 ათასი აფხაზიც, ვისთვის ვაკეთებთ რკინიგზას?"

**ზურაბ პაპასქირი:** "რკინიგზის ამოქმედება ეჭვს არ იწვევს, თუმცა ყველაზე მეტად ხელს აძლევს სომხეთსა და რუსეთს. ცხადია, როგორც რუსეთისაკენ მიმავალი უახლოესი გზა, საქართველოსაც აინტერესებს, მაგრამ... არის დიდი **მაგრამ**.

1996 წლის 19 იანვრის დსთ-ს სამიტზე ხელი მოეწერა ეკონომიკურ სანქციებს სეპარატისტული რეჟიმების წინააღმდეგ. [illegible]

[illegible]

**რაულ კუპარავა:** [illegible]

[illegible]

რუსეთთან ურთიერთობაზე ჩვენ [illegible]

[illegible] ჩვენ უმაღლესი საბჭო გავაუქმეთ იმიტომ, რომ ხანგრძლივი შეიარაღებული

[illegible]

**ზურაბ პაპასქირი:** "[illegible]

კონფლიქტის დროს საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციონირება წყდება. შემდეგ აღვადგინეთ იმიტომ, რომ მისთვის რეალური პოლიტიკური დატვირთვა მიგვეცა, რაც არც შევარდნაძის დროს მომხდარა და, მით უმეტეს, არც დღეს ხდება. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს აღდგენის შემდეგ პარლამენტის საგანგებო დადგენილებაში ჩაიწერა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში ერთმანეთს უნდა ესაუბროს ორი მხარე - აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება და სეპარატისტული რეჟიმი. თბილისი უნდა ყოფილიყო შუამავალი, მაგრამ ეს ქაღალდზე დარჩა. თბილისი სოხუმის ყველა კაპრიზს ასრულებდა. მოლაპარაკებაზე არ გზავნიდა იმას, ვინც აფხაზებს არ უნდოდათ და, სამაგიეროდ, ერთხელაც არ გამოუთქვამს პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზური მხრიდან მოლაპარაკებებს დემონსტრაციულად ყოველთვის ხელმძღვანელობდა სეპარატისტული რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. თბილისს ერთხელ არ მოუთხოვია ის, რომ მისთვის საგარეო საქმეთა მინისტრის სტატუსი მოეხსნათ.

ახლა საუბარია საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში ერთიანი უწყების შექმნაზე, რომელიც აფხაზეთის პოლიტიკურ საკითხებზეც იმუშავებს და დევნილებზეც იზრუნებს. მე, მაგალითად, ამ ვარიანტს მირჩევნია აფხაზეთის ძლიერი მინისტრთა კაბინეტი, რომლის თავმჯდომარე ავტომატურად იქნება საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი და რომელსაც უფლება ექნება, აფხაზეთთან მიმართებაში დავალებები მისცეს ფედერალურ მინისტრებს. ჩვენ ამ სტრუქტურების გაქრობა არ უნდა დავუშვათ. ეს ცხინვალიზაცია იქნება.

რაც შეეხება არჩევნებს, მაქვს ისეთი ვარიანტი, რომლითაც უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობასაც შევინარჩუნებთ და დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრსაც აქტიურად ჩავრთავთ პროცესებში. ამისათვის უნდა შეიქმნას ორპალატიანი სტრუქტურა. "ზედა პალატაში" წარმოდგენილი იქნებიან აფხაზეთში არჩეული დეპუტატები, ქვედა პალატაში კი შევლენ ახლადარჩეული დეპუტატები, რომლებსაც მთავრობის დამტკიცების უფლება ექნებათ და ა.შ. ეს იქნებოდა იდეალური ვარიანტი."

**რაულ კუპარავა:** "კი, ბატონო, არ არის პრობლემა. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ აფხაზეთის ძლიერი უზენაესი საბჭო არავის სჭირდება. ყველა სპონტანური გადაწყვეტილების მიზეზი კი ის არის, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების სახელმწიფო ხედვა, პროგრამა არ არსებობს. გავეცანი საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციას, მაგრამ ძალიან ზოგადია და აფხაზურ ნაწილში ძალიან ცუდი შთაბეჭდილება რჩება."

**ლორიკ მარშანია:** "საერთოდ, აფხაზეთის საკითხში კოორდინაცია 15 წელია არ არსებობს. ხაინდრავას თავისი პოზიცია აქვს, ალასანიას - თავისი, ასტემიროვას - თავისი. ახლა კი უფუნქციოდ დატოვეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, რომელიც დღეს, ფაქტობრივად, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ფილიალია. არაფერს ეკითხებიან. აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს დაშლა კარგა ხანია სოხუმის ოცნებაა და ეს მათ აძლევს ხელს. დიდი შეცდომა იყო აფხაზეთის დეპუტაციის გაშვება საქართველოს პარლამენტიდან, რითიც სოხუმში ძალიან გაიხარეს. წელიწადნახევარია, პარლამენტში აფხაზეთზე ერთი სიტყვაც არ თქმულა. ამიტომ, ასეთი შეცდომების დაშვება არ შეიძლება.

ახლო მომავალში გაიმართება კონფერენცია აფხაზეთის საკითხზე. ამბობენ, პრეზიდენტიც მოვაო. მე მინდა მასთან ამ საკითხების წამოწევა, მაგრამ სადაც მოვიდა, თავისი სიტყვა თქვა და წავიდა. არ რჩება, რომ რამდენიმე კაცს მოგვისმინოს და კითხვაზე პასუხი გაგვცეს. სხვათა შორის, არც ხაინდრავას დაუძახნია ჩვენთვის არასდროს და არაფერი უკითხავს. ასე არ შეიძლება.

ასევე არ შეიძლება ორმაგი სტანდარტების არსებობა. ერთ დღეს პრეზიდენტი მშვიდობიანი გზის პრიორიტეტულობას საქვეყნოდ აცხადებს, მეორე დღეს ხელისუფლების რომელიმე წევრი მუქარით გამოდის. ანდა, რას უნდა მივაწეროთ პრეზიდენტის განცხადება, მალე ფსოუზე საბაჟოს გავხსნითო და იქ ჩვენი ქანთარია მოგვევლინებაო. ან ერთი უნდა ვთქვათ, ან მეორე აფხაზეთში. რუსეთის "ფე-ეს-ბეს" მთელი ანალიტიკური ინსტიტუტები მუშაობენ და ყველა ნაბიჯსა და სიტყვას შეფასებას აძლევენ და ჩვენს წინააღმდეგ იყენებენ. ამიტომ, სანამ რამეს ვიტყვით, უნდა დავფიქრდეთ."

**- რა მდგომარეობაა აფხაზებთან სამოქალაქო დიალოგის მხრივ?**

**ლორიკ მარშანია:** "ძალიან ცუდი მდგომარეობაა. აფხაზები და ქართველები ნათესავები ვართ. 41 პროცენტი შერეული ოჯახებია. ეს უნდა გამოვიყენოთ. სახალხო დიპლომატიას გასაქანი უნდა მივცეთ, რაც, სამწუხაროდ, დღემდე არ კეთდება."

**ზურაბ პაპასქირი:** "აფხაზეთის საკითხებით დაკავებულნი არიან ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ ისეთი გამოცდილება, როგორიც, თუნდაც, ბატონ ლორიკს. მაგრამ ბატონი ლორიკი აფხაზებთან პირველი შეხვედრის შემდეგ, მოლაპარაკებებიდან რომ მოხსნეს, დღემდე არ ჩაუსვამთ. იმიტომ მოხსნეს, რომ აფხაზებმა მის სიმართლეს ვერაფერი დაუპირისპირეს და განაცხადეს, ამასთან ვერ ვილაპარაკებთო. არასამთავრობოები, რომლებიც აფხაზებთან მოლაპარაკებებში მუდმივად მონაწილეობენ, როგორც წესი, მათ ყველაფერზე თავს უკრავენ. ამბობენ, აფხაზებს ბოდიში უნდა მოვუხადოთო. ვის მოვუხადოთ ბოდიში? - იმ ხალხს, ვინც სახელმწიფო დაგვინგრია, სამშობლო წაგვართვა?! მე კი მიმაჩნია, რომ ქართველებმა და აფხაზებმა ჩვენ-ჩვენი წილი პასუხისმგებლობა უნდა ვიკისროთ და ცხოვრება ახალი ფურცლიდან დავიწყოთ."

**რაულ კუპარავა:** "აფხაზებთან სამუშაო რესურსი ძალიან დიდია. სახელმწიფო თავის ფუნქციას უნდა ასრულებდეს, არასამთავრობო სექტორი - თავის ფუნქციას, რაშიც სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს, მაგრამ ხელი კი უნდა შეუწყოს. სამწუხაროდ, ასეთი მოვლენა, ჯერჯერობით, არ შეინიშნება. არადა, სახალხო დიპლომატიის მასობრივი პროცესი უნდა დაიწყოს. უნდა დავანახოთ ყველას, რომ ქართველები აფხაზი ერის გადასარჩენად ვიღწვით. რა, აფხაზეთი და აფხაზები ხელში რუსეთს უნდა ჩავუგდოთ?"

**ლორიკ მარშანია:** "ისე ანტიქართულად განწყობილი აფხაზი, როგორიც არძინბა იყო, მე არ შემხვედრია, მაგრამ დღეს სოხუმის ხელისუფლებაში ახალი ხალხი მოვიდა. ამ ხალხს ძალიან კარგად ვიცნობ. ანქვაბთან და ბაგაფშთან ლაპარაკი ნამდვილად შეიძლება, მაგრამ მათ, ჯერჯერობით, რუსეთისგან ხელები მაგრად აქვთ შეკრული. ამასთან, სოხუმის ხელისუფლებაში ნახევარი ჯერ კიდევ არძინბას ხალხია. ამიტომ, ჩვენ მათ რამენაირად უნდა დავეხმაროთ, რომ თავისი პოზიციები გაიმაგრონ და მერე ველაპარაკოთ. ესენი დადებითი, მოაზროვნე ადამიანები არიან."

## არასამთავრობოთა კონფერენცია ნიუ-იორკში

*19-21 ივლისს, ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინაში ტარდება საერთაშორისო კონფერენცია თემაზე :"სამოქალაქო საზოგადოების როლი შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციაში". მსოფლიო მასშტაბის კონფერენციას სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან რვა წარმომადგენელი ესწრება, მათ შორისაა ქალბატონი თინა ქეცბაია, რომელიც გალის რაიონში მოქმედ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციას - "გალის რაიონის ქალთა ასოციაციას" ხელმძღვანელობს. ქალბატონ თინას ამერიკაში გამგზავრების წინ ვესაუბრეთ.*

ლელა მარგიანი

**თინა ქეცბაია:** "კონფერენციაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეკომენდაციებს, რომლებიც მომზადდა სამხრეთ კავკასიის ქალთა რეგიონალური კოალიციის "ქალები მშვიდობისათვის" და ქალთა ეროვნული ქსელის აქტიური მუშაობის შედეგად.

რამდენიმე წელია, რაც ჩვენი ორგანიზაცია ამ ქსელის წევრია. ჩვენ ამერიკაში სწორედ ქალთა ეროვნული ქსელიდან წამოსული ინიციატივების შესახებ ვისაუბრებთ. ამ ქსელის მიზანია, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის მონაწილეობით ერთობლივი სახელმძღვანელოს მომზადება სახელწოდებით "გენდერი და სამშვიდობო განათლება". საქართველოს მხრიდან პროექტის ხელმძღვანელია ქალბატონი იულია ხარაშვილი. ვაპირებ კონფერენციაზე გამოსვლას, დისკუსიებში მონაწილეობის მიღებას. დიდი სურვილი მაქვს პირადად შევხვდე გაერო-ს გენერალურ მდივანს ბატონ კოფი ანანს.

**- თქვენ, როგორც კონფლიქტურ ზონაში მომუშავე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს, მართლაც ბევრი რამ გექნებათ სათქმელი.**

- გალში ჩვენი ორგანიზაციის შვიდწლიანმა არსებობამ დიდი შედეგები მოგვცა. როგორ მივაღწიეთ ამას კონფლიქტის ზონაში, რა წინააღმდეგობების გადალახვა მოგვიხდა არსებობის მანძილზე, რა საქმიანობას ეწევა ჩვენი ორგანიზაციის ბაზაზე დაფუძნებული "გალის რაიონის ქალთა სამშვიდობო საბჭო", - ეს ის საკითხებია, რომელთა შესახებაც ვაპირებ კონფერენციაზე საუბარს.

მიმაჩნია, რომ ჩვენი ორგანიზაციის ყველაზე დიდი გამარჯვება არის ის, რომ ჩვენ ვთანამშრომლობთ აფხაზეთისა და საქართველოს მთავრობებთან. ესაა ეკონომიური პროექტები, რომლებიც ახლა იწყება გალის რაიონში. გალში ქართული ენის პედაგოგების ტრენინგები, რომლებიც ტარდება ბიჭვინთაში. წარმოიდგინეთ, როგორ შეიცვალა ამ მხრივ სიტუაცია, როცა რამდენიმე წლის წინათ ქართული ენის პედაგოგები არ მუშაობდნენ და სახლებში იყვნენ გამოკეტილები. დღეს კი მათ ბიჭვინთაში აფხაზ პედაგოგებთან ერთად ტრენინგები უტარდებათ.

**- ქართულ პრესაში კი გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს გალში აიკრძალა ქართულ ენაზე სწავლება.**

- მე ჩემს თავს ვერ მივცემ უფლებას, დავადასტურო ეს ინფორმაცია. ფაქტია, რომ ბიჭვინთაში ტარდება ტრენინგები, სადაც ქართული ენის პედაგოგების კოორდინატორი მე გახლავართ, იქ მოდის აფხაზეთის განათლების მინისტრი, ითხოვს ჩვენთან შეხვედრას. ქართული ენის პედაგოგები გადიან ხუთდღიან ტრენინგებს. ეს ტრენინგები უკვე ჩაუტარდა ორ ათკაციან ჯგუფს, აგვისტოს ბოლოს ქართველი პედაგოგების მესამე ათკაციან ჯგუფს ელიან ბიჭვინთაში. ამავე დროს, უშუალოდ ვთხოვე აფხაზურ მხარეს, რომ არა მხოლოდ სკოლის პედაგოგებმა გაიარონ ტრენინგები, არამედ ეს ტრენინგები ჩაუტარდეთ ასევე სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებსაც. რადგან სამარცხვინო რამ ხდება გალის რაიონის საბავშვო ბაღებში, ბავშვებს არა აქვთ ელემენტარული საშუალება სკოლამდელი განათლება მიიღონ. მათ არც ქართული იციან, არც - რუსული, მხოლოდ მეგრულად საუბრობენ.

ახლა მთელს რაიონში მხოლოდ ორი ბაღი არსებობს და ისინიც არაპროფესიონალებით არის დაკომპლექტებული.

**- სხვა მხრივ, რა მდგომარეობაა ამჟამად გალში?**

- ამჟამად იცვლება ძირეული ცხოვრებისეული პირობები. არც იმის თქმა შეიძლება, რომ წინა ხელისუფლება საერთოდ არაფერს აკეთებდა გალში, და ახლა მოხდა "გადატრიალება", მაგრამ ფაქტია, რომ გალში ცხოვრების რაღაც ეტაპი დამთავრდა. იმ ეტაპში იყო ყველაფერი: თუნდაც ის, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ გალში მუშაობა იმ დროს დაიწყო, როდესაც საქართველოს ხელისუფლება თვლიდა, რომ გალში დაბრუნებული ქართველები "მოღალატეები" იყვნენ. ამავე დროს, რა თქმა უნდა, აფხაზებისთვის ჩვენ ქართველები ვიყავით. ამ გაუსაძლის პირობებს უკვე წერტილი დაესვა.

გურამ ოდიშარიას სვეტი

## გასაუბრება 1998-2004 წლების დღიურთან

გაგრძელება

* ომისა და უბედური შემთხვევების გამო დაინვალიდებული კავკასიელი ახალგაზრდები მოსკოვში ხვდებიან ერთმანეთს. ზოგს ორივე ფეხი აკლია, ზოგს - ერთი, ზოგიც დაბრმავებულია. საღამოობით გულიანად ერთობიან, მხიარულობენ. იშვიათად მინახავს ამდენი სიცოცხლის მოყვარული ადამიანი ერთად. რა დამავიწყებს მათ სევდიან ისტორიებსა და ხუმრობებს.

**ჩეჩენი ბიჭი:** ფეხები ნაღმზე აფეთქებისას დავკარგე. ორივე ფეხზე პროტეზი მაქვს. ერთხელ, ზამთარში, მე და მამაჩემი სოფლის ავტობუსს ვუცდიდით, ყინვა ათ გრადუსამდე იყო. ავტობუსი აგვიანებდა. მამაჩემს ფეხები გაეყინა, მე მშვიდად ვიყავი და მამაჩემზე მეცინებოდა - როგორ ხტოდა ერთ ადგილზე. მამაჩემი ჯერ გამიბრაზდა - შენ რატომ არ გეყინება ფეხები, რატომ?! მერე ატირდა.

**მეორე ჩეჩენი ბიჭი:** თორმეტი წლის ვიყავი, ფეხი რომ დავკარგე ნაღმზე აფეთქებისას. მალე შევეჩვიე პროტეზს. ერთხელ, ზამთარში, ერთ რუს მეთევზეს არაყზე დავენიძლავე, ჩვენს შორის დიდხანს რომელი გაუძლებდა ყინულიან ტბაში ფეხის ჩაყოფას, რა თქმა უნდა გავიმარჯვე - მე ხომ პროტეზიანი ფეხი მქონდა წყალში ჩაყოფილი, მან კი არ იცოდა, რომ მე ფეხი არ მქონდა. არაყი ერთად დავლიეთ.

**დაღესტნელი ბიჭი:** მეგობარს ვესტუმრე, არაყი ვსვით. ღამით მის სახლში დავრჩი. მეგობარს სოფლიდან ჩამოსული ნათესავიც ჰყავდა სტუმრად. ღამით რამდენჯერმე ავდექი წყლის დასალევად. პროტეზის გაკეთება დამეზარა და ცალ ფეხზე დავხტოდი სამზარეულოსა და ჩემს საწოლს შორის. დილით, ჩაის სმისას, მეგობრის უზომოდ შეშინებულმა ნათესავმა გვითხრა: მთელი ღამე არ მეძინა, არ დამიჯერებთ, ჩვენს ბინაში შაითანი იყო, მთელი ღამე ცალ ფეხზე დახტოდაო. მაგრად ვიცინეთ. იმ ბიჭმა არ იცოდა, მე რომ ცალი ფეხი არ მქონდა.

**რუსი ბიჭი:** ორი წლის წინათ ავტოავარიაში მოვყევი. გონება მაშინ დამიბრუნდა, როდესაც "გაიშნიკს" მანქანიდან გამოვყავდი. ფეხზე მექაჩებოდა. ჰოდა, "ფეხი" მომძვრა კიდეც და "გაიშნიკს" შერჩა ხელში. იმ უბედურს გული წაუვიდა. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ფეხი არ მქონდა და პროტეზი მომაძრო. სასწრაფოს ექიმმა მე თავი დამანება და "გაიშნიკის" მოსულიერებას შეუდგა.

**ქართველი ბიჭი:** პროტეზიდან უთასმებო ფეხსაცმელი ხშირად მძვრებოდა. ქუჩაში მეგობარს ვთხოვე, როგორმე მიემაგრებინა პროტეზზე ფეხსაცმელი. იმანაც სადღაც ლურსმანი და ჩაქუჩი გააჩალიჩა, სკამძელზე დამსვა და ფეხსაცმელი რამდენიმე ლურსმნით ლანჩის მხრიდან პროტეზში ჩამიჭედა. გამვლელები თვალებს არ უჯერებდნენ, რამდენიმე ქალი ცუდად გახდა.

**ჩერქეზი ბიჭი:** ერთ-ერთ ქორწილში მომსახურე ქალმა პროტეზიან ფეხზე ადუღებული წყალი გადამასხა. მე ამას არ ვხედავდი, თავი გვერდზე მქონდა მიბრუნებული და ამხანაგს ვესაუბრებოდი. სტუმრებმა რა იცოდნენ, რომ პროტეზი მქონდა, გაოცებულები თავს აქნევდნენ და ჩემზე ამბობდნენ: აი, ნამდვილი ჯიგიტი, ადუღებული წყლის გადამსხმელი ქალი უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩაეგდო, ერთიც არ დაუკვნესია, ნახეთ რა ტკივილს გაუძლოო.

**ყაბარდოელი ბიჭი:** ორი პროტეზი მაქვს, ერთი მძიმე, ჩვენთან გაკეთებული, მეორე ახალი და მსუბუქი, ინგლისური. ძველს საშინაოდ ვიყენებ, ახალს - საგარეოდ.

* გაუმარჯოს ადამიანს - ტრაგედიების ხუმრობად გარდამქმნელ არსებას.

* სოხუმში ბავშვობის ორ მეგობარს ვიცნობდი: აფხაზსა და ქართველს. ხშირად ვხედავდი მათ ერთად სანაპიროზე, ტურბაზის რაიონსა თუ პლაჟზე. ქართველის მეტსახელი - ბაჯაა. ის ომის შემდეგ თბილისში ცხოვრობს. მითხრეს, თურმე ხანდახან, როდესაც მისი სოხუმელი აფხაზი მეგობარი დათვრება, მიდის ბაჯას ბინასთან და უძახის: ბაჯა! ბაჯა!.. ბაჯას ყოფილ ბინაში მცხოვრებლები პროტესტს გამოთქვამენ: ნუ გვაღვიძებ ამ შუაღამისას, არ არის ბაჯა, ბაჯა მოკვდა! ბაჯას მეგობარი ბევრად უფრო ემოციური პროტესტით ეპასუხება: ბაჯა ცოცხალია! ბაჯა ცოცხლობდა და ბაჯა მუდამ იცოცხლებს!

* აფხაზეთში ნაომარი ქართველი მიყვება: მდინარე გუმისთის სანაპიროზე, მაღლა, ტყეში ვიბრძვით. მოხდა ისე, რომ სანაპიროზე მარტო დავრჩი. მდინარის მეორე სანაპიროზე, ჩემსავით, დიდ ქვას ამოფარებული აფხაზიც მარტო დარჩა. ჯერ "ლიმონკები" დავაყარეთ ერთმანეთს, მაგრამ "ლიმონკებს" ორთავენი გადავურჩით. მერე მუშტისოდენა ქვა ვისროლე მისი მიმართულებით.

- Что, грузин, "лимонки" кончились? - გადმომძახა აფხაზმა.

გამეცინა, მართლაც, გამითავდა "ლიმონკები". იმასაც გაუთავდა, მაგრამ სამალავიდან ორივეს გვეშინია გამოსვლა. ერთმანეთის ავტომატების გვეშინია. გადაძახილ-გადმოძახილებით დავიწყეთ ერთმანეთში საუბარი. ოჯახის ამბებიც გამოვკითხეთ ერთმანეთს, თურმე საერთო ნაცნობებიც გვყოლია; ანეკდოტებიც მოვყევით, ვიცინეთ კიდეც.

როცა კარგად დაღამდა, ის თავისთვის წავიდა, მე - ჩემთვის.

* კორუფცია საზოგადოების (და არა მარტო საკუთარის) უდიდესი მარადისობაა. ომის დროს მინახავს ტელევიზორმოკიდებული მარადიორი, გამიგონია, რომ მარადიორს ხვრეტენ, მაგრამ კორუმპირებული სხვა მასშტაბის მარადიორია - ის ქვეყანას ძალიან მალე უსამართლოდ გაღარიბებულთა და დამნაშავეობრივად გამდიდრებულთა ქვეყნად აქცევს. სულ რამდენიმე "პატივსაცემი" კაცი ურჩხულად აქცევს მას, რაც ჩანასახში იყო და თრგუნავს, ანადგურებს სამართლიანობასა და ზნეობას.

მითხარით, როგორია ერთ სულ მოსახლეზე კორუფციის მასშტაბი და გეტყვით როგორია ის საზოგადოება.

**გაგრძელება იქნება**

გადარჩენილი ფოტოები

### მენატრები!



სოხუმი. თამარის ხიდი. 1970-იანი წლები. მარინა არშბა თავის მეგობრებთან ერთად.

გამოკითხვა

## შესაძლებელია თუ არა აფხაზებსა და ქართველებს შორის ადამიანური ურთიერთობების აღდგენა?

**დავით ჭიჭინაძე**, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალისტი, იურისტი, 29 წლის: " მწარე წარსულის მიუხედავად, ადამიანები ყოველთვის შეძლებენ საერთო ენის გამონახვას, თუ საერთო დაინტერესება იქნება, თუნდაც - ეკონომიკური თვალსაზრისით, თუნდაც ნათესაური ურთიერთობების თვალსაზრისით. ეკონომიკური კავშირის აღდგენისაკენ მიმართული ნაბიჯები აფხაზური მოსახლეობის ჩვენს ეკონომიკაში ინტეგრაციით უფრო დიდ სარგებელს მოუტანს ამ ურთიერთობების აღდგენას, ვიდრე მხოლოდ პოლიტიკური განცხადებები. აფხაზეთში სიდუხჭირეა, ხალხს ძალიან უჭირს. ეკონომიკური დაინტერესება ადამიანებს რაღაც კომპრომისზე წასასვლელად ხელს შეუწყობს. ეკონომიკური ინტეგრაცია, თუნდაც, სამეგრელოს რეგიონთან ახლომდებარე რაიონებისა - გალი, ოჩამჩირე, ტყვარჩელი, შესაბამისად, ავტომატურად გამოიწვევს გარკვეულ დამოკიდებულებას მთლიანად საქართველოს ეკონომიკაზე. სამეგრელოს რეგიონის ფაქტორის გათვალისწინება აფხაზებთან მუშაობაში, ალბათ, ბევრ საინტერესო პერსპექტივას გამოაჩენს ამ მიმართულებით, თუ სპეციალისტები გაითვალისწინებენ იმას, რომ აფხაზებს მეგრელებთან ბევრად უფრო უადვილდებათ ურთიერთობა და მათ შორის ნდობა დღესაც უფრო შენარჩუნებულია - თუნდაც, ზვიად გამსახურდიას გამო, ზვიადის მომხრეთა პოზიციის გამო ომის დროს, ან თუნდაც, უბრალოდ, მეზობლობის გამო. ამ ფაქტორს, რატომღაც, არავინ აქცევს ყურადღებას. ჩემი აზრით კი, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია."

**მაია მაჭარაშვილი**, სტომატოლოგი, 46 წლის: "თუ თვითონ ადამიანებმა არ გადალახეს ბარიერი, მაშინ დევნილები რომც დაბრუნდნენ, როგორ უნდა იცხოვრონ? მთავარია, იმათ გადალახონ ურთიერთსიძულვილი და მტრობა, ვინც ძალიან დაზარალდა. ეს როგორ მოხდება, მართალი გითხრათ, არ ვიცი. არასამთავრობო ორგანიზაციები კი მუშაობენ ამ კუთხით, მაგრამ მაგათი, ცოტა არ იყოს, ნაკლებად მჯერა."

**დალი ფრიდონაშვილი**, ფსიქოლოგი, ჟურნალისტი, 42 წლის: "ომის შემდგომ პერიოდში უფრო დიდი იყო აგრესია, მაგრამ ადამიანი ისეთი ფენომენია, რომ რაც დრო გადის, ცუდი ავიწყდება და კარგი ახსოვს. ახლა ის დროა, იმ ფაზაშია შესული სიტუაცია, რომ ადამიანებს ურთიერთობის მოთხოვნილება აქვთ. ადამიანურ ურთიერთობებს და განწყობილებებს კი იდეოლოგია განაპირობებს. თუ ისეთი იდეოლოგია იქნება აფხაზეთში, როგორიც დღეს არის, ქართველებისა და აფხაზების ნორმალური ურთიერთობის აღდგენა გაჭირდება. შორიდან როგორ დაახლოვდებიან ადამიანები, თუ კონტაქტის საშუალება არ ექნებათ? რაც შეეხება დიალოგს, დიალოგი მაინც კამათისკენ მიდის და უარყოფითი მომენტი ახლავს. ალბათ, უნდა იყოს ისეთი ღონისძიებები, სადაც არსებობს ერთნაირი მოტივაცია და იქმნება დადებითი განწყობა - მაგალითად, როცა ბავშვები დასასვენებლად ერთად მიდიან ბანაკებში."

**ნოდარ ლაბაძე**, მძღოლი, 54 წლის: "სანამ კონფლიქტი არ გადაწყდა, მანამ როგორ უნდა აღდგეს ურთიერთობები, ვერ წარმომიდგენია. მე მგონია, რომ ის ძველი სიახლოვე აღარ აღდგება, თუნდაც, ხალხი დაბრუნდეს. ამბობენ, რომ სულ სხვა ხალხი ცხოვრობს სოხუმშიც, გაგრაშიც. მათთან ურთიერთობა ძირძველ სოხუმელ და გაგრელ აფხაზებსაც უჭირთ."

**ნანული ბირკაია**, აფხაზეთიდან დევნილი, 70 წლის: "ჩვენები, ვინც სოხუმში ერთმანეთში კარგად იყვნენ - ქართველები და აფხაზები, ისინი ახლაც ერთად არიან რუსეთში, შესანიშნავი ურთიერთობა აქვთ და საერთო ბიზნესს აწარმოებენ. ადამიანები მოაგვარებენ ურთიერთობას, მთავარია, კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს და ჩვენი ხალხი თავის საცხოვრებელს დაუბრუნდეს."

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთ **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს
საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-ზე, ყოველ ორშაბათს**

**პროექტის მხარდამჭერი** Conciliation Resources

მოკლედ

## ძიუდოისტები მსოფლიოსთვის ბაკურიანში ემზადებიან

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება. პირველი შეკრება 1-18 ივლისს გუნდმა ბაკურიანში გაიარა, 30 ივლისიდან 18 აგვისტომდე კი ბორჯომში იქნებიან, სადაც გაირკვევა იმ ძიუდოისტთა ვინაობა, რომლებიც ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთან ზურაბ ზვიადაურთან და ვერცხლის პრიზიორ ნესტორ ხერგიანთან ერთად ქაიროში (8-11 სექტემბერი) საქართველოს ღირსებას დაიცავენ. ნაკრები ეგვიპტის დედაქალაქში გამგზავრებას 7 სექტემბრისთვის გეგმავს. გუნდის მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელის თქმით, არც ერთ სპორტსმენს ტრამვა არა აქვს და გუნდში სრული საბრძოლო განწყობაა. შოთა ხაბარელმა წინასწარი პროგნოზებისგან თავი შეიკავა. მხოლოდ ის თქვა, რომ გუნდი წარმატებების გარეშე ჩამოსვლას არ აპირებს.

## რობინიომ "სანტოსს" უჩივლა

მას შემდეგ, რაც "სანტოსის" პრეზიდენტმა მარსელო ტეშეირამ უარი თქვა რობინიოს ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკება ეწარმოებინა მადრიდის "რეალთან", ფეხბურთელის აგენტი და "რეალის" წარმომადგენლები აქტიურ და, შეიძლება ითქვას, აგრესიულ ქმედებაზე გადავიდნენ.

საქმე ის არის, რომ რობინიო "სანტოსში" ვარჯიშზე უარს ამბობს, ვიდრე კლუბი მადრიდელებთან მოლაპარაკებას არ გააგრძელებს. ამ საკითხთან დაკავშირებით რობინიოს აგენტი შეეცადა "სანტოსის" პრეზიდენტს შეხვედროდა, მაგრამ ტეშეირამ სტუმარი არ მიიღო. მაშინ ესპანური კლუბისა და ფეხბურთელის წარმომადგენლებმა ფიფას თხოვნით მიმართეს, ცალმხრივად გააუქმოს რობინიოსა და "სანტოსს" შორის დადებული შეთანხმება.

ამ გადაწყვეტილების მთავარი მოტივი კი ის არის, რომ ტეშეირა არ ასრულებს დანაპირებს, რომელიც მან მადრიდში, "სანტოსისა" და "რეალის" წარმომადგენელთა შეხვედრაზე დადო - ფეხბურთელს "სამეფო კლუბში" გავუშვებო. მაშინ მხარეები 15 მილიონზე შეთანხმდნენ, თუმცა, რობინიოს დედის გატაცების შემდეგ ეს თანხა 18 მილიონამდე გაიზარდა. რობინიო აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ მისი ოჯახი ბრაზილიაში თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობს და მას საცხოვრებელი ადგილის შეცვლა სჭირდება.

ახლა ისღა დაგვრჩენია, ფიფას გადაწყვეტილებას დაველოდოთ. არსებობს ამ საქმის განვითარების ორი ვარიანტი: თუ ფიფა ფეხბურთელის სარჩელს დააკმაყოფილებს, მაშინ რობინიო მყისვე ესპანეთში გაემგზავრება და "სანტოსთან" ოფიციალურ დავას დაიწყებს. საქმე სპორტულ ტრიბუნალს გადაეცემა. ტრიბუნალი კი შეაფასებს იმ თანხის რაოდენობას, რომელიც "რეალმა" "სანტოსს" უნდა გადაუხადოს.

მეორე ვარიანტის მიხედვით ფიფამ შეიძლება დაადგინოს, რომ კონტრაქტის გაუქმების აუცილებლობა არ არსებობს. ამ შემთხვევაში რობინიოს აგენტებმა გადაწყვიტეს, შემდეგნაირად იმოქმედონ. კონტრაქტის გასაფორმებლად ფეხბურთელი მადრიდში გადაფრინდება. რაკი "სანტოსი" ფეხბურთელზე უფლებას 60 პროცენტით ფლობს, ესპანელები ბრაზილიურ კლუბს კონტრაქტის გაუქმების სანაცვლოდ სწორედ 60-პროცენტიან კომპენსაციას გადაუხდიან, რაც საბოლოო ჯამში 50 მილიონი დოლარი დაჯდება. ანუ "რეალი" "სანტოსს" 25,2 მილიონს გადაურიცხავს. მოთამაშე და მისი აგენტები კი უარს იტყვიან ტრანსფერიდან მათთვის განკუთვნილ 40-პროცენტიან წილზე.

ამასობაში მადრიდელები გამარჯვებაში იმდენად არიან დარწმუნებულნი, რომ ფეხბურთელის პრეზენტაციის ვადაც კი დანიშნეს - 1 აგვისტო. კლუბმა უკვე გადაწყვიტა, რომ რობინიოს პრეზენტაცია მართლაც "გალაქტიკური" იქნება და თავისი მასშტაბით არ ჩამოუვარდება ფიგუს, ზიდანის, რონალდოსა და ბექჰემის პრეზენტაციას. ბრაზილიაში კი პირიქით - სჯერათ, რომ ფეხბურთელი სამშობლოში დარჩება.

### შევჩენკო "მილანში" რჩება

იტალიურ გამოცემებთან - Gazzetta dello Sport და Repubblica საუბარში"მილანის" უკრაინელმა თავდამსხმელმა ანდრეი შევჩენკომ უარყო ხმები, რომლის მიხედვითაც მასსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის კონფლიქტი გაღვივდა და რომლის გამოც გუნდის მიტოვება ჰქონდა განზრახული.

### "სკავოლინი" აღარ არსებობს

60-წლიანი არსებობის შემდეგ დასრულდა ისტორია ერთ-ერთი უცნობილესი იტალიური საკალათბურთო კლუბისა "სკავოლინი". მიზეზი ბოლო ხანებში კლუბს მოძალებული ფინანსური პრობლემები გახლდათ.

ვწუხვარ, მაგრამ კლუბმა არსებობა უნდა სეწყვიტოს. საჭირო თანხების მოძიებისთვის ბევრი გზა ვცადეთ, მაგრამ ეტყობა, ქალქას (პეზარო) აღარ სჭირდება ჩვენი გუნდი. მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი", - სინანულით აღნიშნავდა "სკავლინის" პრეზიდენტი ენცო ამადიო.

"სკავოლინიმ" 1983 წელს მოიგო ევროპის თასების თასი. გარდა ამისა პეზაროელები ორჯერ გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები (1987/88, 1989/90) და ამდენივეჯერ დაეუფლნენ ქვეყნის თასს - 1985 და 1992 წლებში.

### კაპრიატი აშშ-ის ტოვებს

"ასოშეიტედ პრესის" ცნობით, აშშ-ის ღია პირველობაზე მხარზე მიღებული ტრავმის გამო არ იასპარეზებს ამერიკელი ჩოგბურთელი ჯენიფერ კაპრიატი.

### "ტურის" საპრიზო გაიზარდა

სუპერმარათონული ველო რბოლის "ტურ დე ფრანსის" ორგანიზატორებმა გამოაქვეყნეს მიმდინარე წლის "ტურის" საპრიზო ფონდის ოდენობა. საპრიზო ფონდი შეადგენს 1 937 700 ევროს, რაც 30 ათასი ევროთი მეტია შარშანდელ საპრიზო ფონდთან შედარებით.

### არბიტრაჟმა ამერიკელ ფეხმარდებს ჩემპიონობა შეუნარჩუნა

ლოზანის სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ წერტილი დაუსვა 2000 წლის სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე 4X400-ზე ამერიკელთა საესტაფეტო გუნდის - ანტონიო პეტიგრიუ, ელვინ და კალვინ ჰარისონები, ენჯელო ტეილორი და ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი მაიკლ ჯონსონის მიერ მოპოვებულ ოქროს მედლებთან დაკავშირებულ დავი-დარაბას. აურზაური კი მას შემდეგ ატყდა, როდესაც გუნდის ერთ-ერთი წევრი ჯერომ იანგი ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე აკრძალული პრეპარატის ანაბოლიკური სტეროიდის ნანდროლონის მიღებაში ამხილეს. მართალია, ჯერომ იანგს ფინალურ გარბენში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ვინაიდან შესარჩევ ეტაპებზე ირბინა, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფი) საერტაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მიმართა თხოვნით, აშშ-ის ნაკრებისთვის ჩემპიონობა ჩამოერთვათ. ბუნებრივია, იააფ-ის მოთხოვნას წინ აღუდგნენ ამერიკის მძლეოსნობის მამები და აკი სააპელაციო დავაც მოიგეს.

ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდეგ საარბიტრაჟო სასამართლომ დაადგინა, რომ სიდნეის თამაშებზე იააფის წესები არ ითვალისწინებდა მთელი გუნდის დისკვალიფიკაციას იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მის წევრს დოპინგზე ამხელდნენ.

### ჰოპკინსს ტიტული მოსყიდულმა მსაჯმა დააკარგვინა

საშუალო წონის მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი ბერნარდ ჰოპკინსი, რომელმაც გასულ კვირას ლას ვეგასში 26 წლის ჯერმენ ტეილორთან ტიტულები დაკარგა, აცხადებს, რომ შეხვედრის ბედზე გავლენა იქონია ერთ-ერთი მსაჯის არასწორმა გადაწყვეტილებამ. არასწორი გადაწყვეტილების მიზეზად კი 40 წლის ჰოპკინსი მოსყიდულ მსაჯში ხედავს.

